წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველაქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ორკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 1 აპრილი
1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლიუციის მუზეუმი—პეტრე გელეიშვილი:

№ 63 (11)

## ჟურნალის შინაარსი

მაქსიმ გორკი — **ივ. გომართელი**; „ვიღაც პეშკოვი“ — **ლეო შენგელაია**; იმედები არ გაუმართლდათ — **ს. ელიაძე**; სოციალისტური აღმშენებლობისათვის — **ა. ვადაჭკორია**; „ეკონომიური ანტანტის“ შექმნის იდეა დამარცხდა — **კ. ქეიშვილი**; რას ამბობენ ფაქტები — **ვლ. პავა**; ადგილობრივი მრეწველობა — **ი. ნარსია**; აღორძინების გზით — **მუშკოოპის წევრი**; სტუდენტების სიმღერა — ლექსი — **გ. ქუჩიშვილი**; მიღწევები კულტურულ ფრონტზე — **უპარტიო**; მუშათა თეატრი — **მანი.**

# მაქსიმ გორკი

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი.
მწუხრის ზეწარი გადაეფარა.

პოეტის ეს სიტყვები ზედგამოჭრილი არის რუსეთის სინამდვილეზე ოთხმოციან წლებში.

ეს იყო ხანა შავრაზმული რეაქციის თავაშვებული მძვინვარებისა.

გლეხობას კისერზე აჯდა და სისხლსა სწოვდა თავადი, მემამულე, ვაჭარი, ჩარჩი, მევახშე, პოლიცია, ადმინისტრაცია და სამღვდელოება.

ქალაქში გაბატონებული იყო იგივე ვაჭარი, ბიუროკრატია, სამღვდელოება, საწარმოო საპიტალი არ იყო განვითარებული და ამიტომ ცხოვრების ასპარეზზე პროლეტარიატი ჯერ არა სჩანდა.

გლეხობა მოკლებული იყო ყოველგვარ შეგნებას.

სურათი მეტად უნუგეშო, მდგომარეობა საშინელი.

მოწინავე ინტელიგენცია ჰხედავდა, რომ ქვეყანა იღუპებოდა, ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა და სარევოლიუციო განწყობილებით ირაზმებოდა, მაგრამ:

რა ჰქნას კარგმა მონარდემა,
დროზედ შაში თუ არ მოვა!

მარტო მოწინავე ინტელიგენცია იგივეა, რაც სარდალი უჯაროთ.

ინტელიგენცია რას გააწყობდა თავისი რევოლიუციონური განწყობილებით, როდესაც პროლეტარიატი არსად იყო!

რევოლიუციონური ინტელიგენცია თავს იყრიდა „ნაროდნაია ვოლიას“ გარშემო და მოახერხა ალექსანდრე II-ს სიკვდილით დასჯა.

რეაქციამ ისარგებლა ამ შემთხვევით და მოწინავე ინტელიგენცია ერთის დაკვრით გასრისა.

დანარჩენი ნაწილი ინტელიგენციის შიშმა მოიცვა. თვითმპყრობელობა უძლეველია, ბრძოლა მასთან უაზრო, ასეთი აზრით გაიმსჭვალა ყველა. იარაღი დაჰყარა ყველამ, ჩაჯდა საკუთარ ოჯახში, შემოიფარგლა თავი პირადი ინტერესებით, თბილი ადგილით და საერთოდ, საზოგადო დავიწყების ჯურღმულში ჩაიძირა.

აშმორებული ჭაობი, აი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

საჭირო იყო ახალი ადამიანი, რომელიც იტყოდა ახალ სიტყვას. საჭირო იყო ისეთი ახალი სიტყვა, რომელიც მეხივით გავარდებოდა, შეარხევდა საზოგადოებას და იმედის ჩირაღდნებს დაანთებდა ყველას გულში.

საჭირო იყო მძლავრი მხილება, რომ ინტელიგენციას გახსენებოდა თავისი ადამიანური მოვალეობა.

ასეთი ადამიანი აღმოჩნდა. მან სტყორცნა აშმორებულ ჭაობს საზოგადოებრივი ცხოვრებისას ახალი სიტყვა.

ეს სიტყვა გასკდა ყუმბარასავით და იმედის სხივები მოჰფინა ყველგან.

მაშინ ყველამ იწამა, რომ აღსასრული თვითმპყრობელობისა არ იყო შორს და ახალი ცხოვრების მოახლოებას ველარაფერი შეაჩერებდა.

ეს, ადამიანი იყო **მაქსიმ გორკი**. მისი ახალი სიტყვა მთელი მისი შემოქმედებაა.

როდესაც მაქსიმ გორკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სხვებიცა ცდილობდენ ახალი სიტყვის თქმას, მაგრამ ეს სიტყვა არავის არ ესმოდა, იმედით და ნუგეშით ის არავის ევლინებოდა.

გორკის ახალი სიტყვა კი მთელი ეპოქაა.

რატომ?

იმიტომ, რომ გორკის სიტყვა მონაბერი იყო ახალი კლასის გავლენით.

გორკის სიტყვაში ახალი კლასი მოსჩანდა.

გორკის სიტყვაში ახალი კლასის გუგუნი ისმოდა.

სხვების სიტყვაში კი არა.

ვინ იყო ეს ახალი კლასი?

რუსეთის პროლეტარიატი.

რუსეთის პროლეტარიატი არა სჩანდა, ის უცნობი იყო.

უცნობი იყო ალექსი პეშკოვიც.

ოთხმოცდა-ათიანი წლებიდან რუსეთში სწრაფად ვითარდება საწარმოო კაპიტალი. პროლეტარიატმა თავი მოიყარა დიდ ქალაქებში, საწარმოო ცენტრებში; ნელა-ნელა შეკავშირდა, დაირაზმა და გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე.

ალექსი პეშკოვმა სწორედ ამ დროს ჩამოიძრო ნიღაბი უცნობისა, ვიგინდარასი, დაეყრდნო პროლეტარიატის მარჯვენას და სტყორცნა ახალი სიტყვა,

სიტყვა—მეხის ნატეხი,

სიტყვა—ცეცხლის მფრქვეველი,

სიტყვა—რისხვითა და სიძულვილით გატენილი.

სიტყვა—ადამიანისადმი სიყვარულით აელვარებული,

სიტყვა — იმედით აღფრთოვანებული,

სიტყვა—ყოველივე ძველის გამანადგურებელი,

სიტყვა—ახალი ცხოვრების მახარობელი,

სიტყვა—ბრძოლისა და გამარჯვებისა,—

პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული გამარჯვებისა.

აი, აქ არის ძალა და მნიშვნელობა მ. გორკის ახალი სიტყვისა. გორკი პროლეტარიატის რიგებიდან გამოვიდა, ის იყო ხელზე მოსამსახურეც, პურის მცხობელიც, დარაჯიც, ბარჟის მზიდველიც, მზარეულის თანაშემწეც, მუშაც. ამიტომ მან ადრე დაინახა ის, რაც სხვებმა გვიან შენიშნეს. მან იწამა ახალი კლასი, თავისი დიდი ნიჭის წყალობით ადრე შეიცნო მისი ისტორიული მოწოდება და ამან შეასხა იმის ალმაფრენას ფრთები, ამან ჩაჰბერა იმის სიტყვას ის ძალა და მნიშვნელობა, რამაც გორკი გადააქცია მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლეს მწერლად.

რას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრება ოთხმოცდა-ათიან წლებში?

საპყრობილეს. ყველა თავის თავზე ჰფიქრობდა, ყველა საკუთარი ინტერესებითა ცხოვრობდა და ნამდვილი ადამიანი, რომელიც მიისწრაფის თავისუფლებისაკენ, სილამაზისაკენ, სპეტაკი ცხოვრებისაკენ, აღარსად იყო.

ასეთს პირობებში საჭირო იყო სასტიკი მხილება და გორკი გვევლინება როგორც შეუბრალებელი მამხილებელი.

გორკი გამოვიდა დაბალი წრიდან, აღიზარდა დაბალ წრეში. დაბალი წრის ყველა საფეხური გაიარა:: იყო შეგირდი ხელოსანისა, მზარეულისა, ხელზე მოსამსახურე, უბრალო მუშა, მხერხავი, მეპურე, დარაჯი და სხვა. უყვარდა ფეხით მოგზაურობა. შემოუვლია რუსეთის დიდი ნაწილი და ეს მოგზაურობა იყო მისთვის საუკეთესო სკოლა: ძალიან ბევრი რამ ნახა, ბევრი რამ შეისწავლა, გაიცნო მდაბიო ხალხი და განსაკუთრებით შეისწავლა ბოსიაკების ყოფა-ცხოვრება.

ბოსიაკები ნამდვილი რუსული მოვლენაა, რუსეთის ვაჭრულ-ფეოდალური წყობილებიდან წარმოშობილი.

ბატონობის დროს გლეხი მიკრული იყო მიწაზე, ის მიწიანა შეადგენდა ბატონის საკუთრებას; ბატონის ნებადაურთველად გლეხს არსად წასვლა არ შეეძლო.

ბატონყმობის გადავარდნამ გლეხი უმიწა-წყლოდ დასტოვა, სამაგიეროდ მისცა გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლება, სოფლად ფეხი მოიმაგრა ვაჭარმა, ჩარჩმა, მევახშემ, კულაკმა. ამდენმა მუქთახორებმა გლეხობის გალატაკებას ძალიან შეუწყო ხელი. უმიწაწყლოდ დარჩენილ გლეხს მეტი საშუალება არა ჰქონდა, უნდა დადგომოდა გზა-შარას და ეძია ლუკმა პური. მსხვილი წარმოება ჯერ არი იყო განვითარებული, ამიტომ მუშა-ხელი არავისა სჭირდებოდა; უმიწაწყლო გლეხები ნავთსადგურებში იყრიდენ თავს სამუშაოს საძებნელად, ხან შოულობდენ საქმეს, ხან ვერა; ხან მაძღარი იყვენ, ხან მშიერი და აი ამ გზით წარმოიშვენ ბოსიაკები.

გორკი ძალიან კარგად იცნობდა მათს ცხოვრებას. თავისი მოგზაურობის დროს ბევრგანა ხვდებოდა მათ და ხშირად უცხოვრია მათთან ერთად.

საზოგადოების მხილებისათვის მან ისარგებლა საზოგადოების გარეშე მოქცეული ხალხით და აქედან წარმოიშვა ბოსიაკური ხანა მისი შემოქმედებისა.

ბოსიაკების პირით მან სასტიკად გაჰკიცხა მაშინდელი საზოგადოება.

„ადამიანი სთვლემს და არავინ აღვიძებს მას. სთვლემს და პირუტყვდება. მას სჭირია მათრახი". — სწერს ერთ მოთხრობაში გორკი. მისი ბოსიაკური ხანის შემოქმედება მეტად მწვავე მათრახი იყო. გორკიმ გამოაღვიძა საზოგადოება და დაუსახა მას წინ ბედნიერების ბრძოლისა.

რისთვის, ვისთვის არის საჭირო ეს ბრძოლა?

ადამიანის განთავისუფლებისათვის,—

ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ვის შეუძლია ამ ახალი ცხოვრების შექმნა?

ამისათვის გორკიმ დაასურათა რუსეთის ვაჭრული საზოგადოება „თომა გარდეევ"-ში, „სამნი"-ში, „ქალაქ ოკუროვ"-ში, „მათე კოჟემიაკინ"-ში. მან მოგვცა საუცხოვო სურათები.

რას წარმოადგენს ვაჭრული ყოფა-ცხოვრება?

საპყრობილეს, სადაც ერთი მეორესა სჭამს, ერთი ბედნიერია და ათასი უბედური. აქ არ არის სიყვარული, თანაგრძნობა, გატანა; ყველა გატაცებულია ფულით, ყველა მონაა ფულის.

ვაჭართა წოდების საუკეთესო წარმომადგენლები თვითონ ჰგმობენ მათ მიერ შექმნილ ცხოვრებას, თვითონ გაურბიან ასეთს ცხოვრებას და ზოგი მათგანი თვითმკვლელობით ათავებს.

ვაჭრული ურთიერთობა განწირულია, მას არ შეუძლია წარმოშვას ახალი ადამიანი ახალი ცხოვრების შესაქმნელად,—აი, საერთო დასკვნა გორკის შემოქმედების მეორე, ვაჭრულ ხანისა.

ვაჭართა წოდებიდან გამოდიან მსხვილი მრეწველები, რომელთა ოცნებაა რუსეთის გარდაქმნა ამერიკისა და ინგლისის მგზავსად.

შეიძლება მრეწველთა კლასია მოწოდებული ახალი ცხოვრების შესაქმნელად?

ამ კითხვის გადაჭრას გორკიმ მოანდომა მესამე ხანა თავისი შემოქმედებისა.

„არტამანოვის საქმე", „ბარბაროსები" წარმოადგენენ მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენელთა დასურათებას.

მათ შეაქვთ წარმოებაში ტეხნიკური გაუმჯობესება, ელექტრო, მანქანები; ცხოვრებაში კი ისევ ძველი პრინციპი რჩება: გაუტანლობა, ერთი მეორის მტრობა, გაყვლეფა, უმცირესობის ბედნიერება დიდი უმრავლესობის ხარჯზე და საშინელი ყვლეფა.

„ეშმაკი აშენებდა, შენ კი მას ეხმარებოდი" —ეუბნება არტამანოვს მისი მსახური და ეს არის დახასიათება მრეწველთა კლასის მთელი საქმიანობისა.

დასკვნა ერთად-ერთია: მრეწველთა კლასი დაფუძნებულია სხვის გაყვლეფაზე და ახალი ცხოვრების შექმნა სამართლიანობისა და სილამაზის საფუძვლებზე მას არ შეუძლია.

გორკი მიმართავს ინტელიგენციის დასურათებას და აქედან იწყება მეოთხე ხანა მისი შემოქმედებისა.

„მოაგარაკენი", „ბარბაროსები". აი უმთავრესად სად არის ინტელიგენციის დასურათება.

რას წარმოადგენს გორკის ინტელიგენცია?

ერთი ნაწილი თბილ ალაგზეა მოკალათებული და სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

მეორე ნაწილი ფუსფუსებს და ძალიან ბევრს ლაპარაკობს.

მესამე გულხელდაკრეფილი განზე გამდგარა და ოცნებობს, ოცნებობს და მხოლოდ ოცნებობს.

ასეთი ხალხი ახალ ცხოვრებას ვერ შექმნის.

მაშ სად არის ხსნა?

ამ კითხვის გადასაჭრელად გორკი მიმართავს პროლეტარიატს და სწერს „მტრებს", დედა"-ს, „ოლსარება"-ს, „ზაფხულს".

აქ ის გვაძლევს მუშების ტიპებს და მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

აქ თქვენ ვერა ჰნახავთ ვაჭრულ კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრების მზგავსებას. ერთობა, სოლიდარობა, სიყვარული, მაღალი მისწრაფებანი, საერთო საქმისათვის თავგანწირვა, აი რა ახასიათებს პროლეტარიატს.

დასკვნა ცხადია: ახალი ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატია მოწოდებული.

„ოლსარება"-ში მთელი რუსეთის გლეხობა მათეს სახით შეიგნებს ამას და მიდის პროლეტარიატთან, რომ იწამოს მისი მიზანი და მასთან ერთად შეუდგეს ახალი ცხოვრების შენებას.

პროლეტარიატსა და გლეხობას ხელმძღვანელი უნდა.

ვის ირჩევს გორკი ხელმძღვანელად?

იმას, ვინც იყო გორკის ხელმძღვანელი და მასწავლებელი:

ლენინსა და იმის პარტიას..

„საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ჩემთვის ერთად - ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია რუსის ხალხის ინერციის დაძლევა და მისი ენერგიის ამოძრავება ცხოვრების ახალი, უფრო სამართლიანი და გონივრული ფორმების ასაგებად", აი გორკის განცხადება.

**ივ. გომართელი.**

# „ვილაც პეშკოვი"

## (მ. გორკის იუბილესათვის)

### III.

მეტეხის ციხეში მ. გორკი დარჩა ორი კვირის განმავლობაში.

მ. გორკი პირველად დაკითხეს 13 მაისს, ხოლო მეორეჯერ 28 მაისს და იმავე დღეს გამოუშვეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 29 მაისს ის კვლავ დაკითხეს გაჩხრეკის დროს ჩამორთმეულ ერთ-ერთი ბროშიურის შესახებ. ჟანდარმებმა პირველ დღესვე დაუმტკიცეს მ. გორკის თავისი „ჯენტლემენობა" და დიდის ამბით დაუბრუნეს მას ოქროს ბეჭედი, რომელიც გაჩხრეკის დროს ჩამოართვეს. საქმეში არის მ. გორკის შემდეგი შინაარსის ხელწერილი:

„მივიღე ოქროს ბეჭედი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოდან.

1898 წლის, 12 მაისი.

ალექსი პეშკოვი.

ქ. ტფილისი.

მ. გორკის განთავისუფლებას საფუძვლად დაედვა შემდეგი გარემოება: 1) გაჩხრეკამ ვერაფერი სათაკილო ვერ აღმოაჩინა; 2) პეშკოვის ჩვენებამ გამოარკვია, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა რევოლიუციონურ პროპაგანდაში.

1898 წლის 31 მაისს მ. გორკი თბილისიდან მიემგზავრება ქ. სამარაში თბილისის პოლიცმეისტრის მოწმობით.

სულ რაღაც სამი კვირის შემდეგ სამარიდან მ. გორკი იძლევა ასეთ დეპეშას:

„გთხოვთ აცნობოთ სამარის ჟანდარმთა სამმართველოს ხომ არ არის დაბრკოლებანი, რათა პეშკოვი საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში გადავიდესო".

თბილისის ჟანდარმერიამ არ დააყოვნა და იმავე დღესვე გასცა ასეთი პასუხი:

„პეშკოვს ნება ეძლევა გადავიდეს ნიჟნი-ნოვგოროდში"-ო.

1899 წლის მარტში ნიჟნი-ნოვგოროდიდან მ. გორკი აძლევს თბილისის ჟანდარმერიას ასეთ დეპეშას:

„უმორჩილესათ გთხოვთ ნება მისცეთ პეშკოვს გადავიდეს ყირიმში ჭლექის სამკურნალოდ. ექიმები მოითხოვენ. სერიოზულად ავად ვარ.

პეშკოვი".

თბილისის ჟანდარმერიამ ეს საკითხი ვერ გადასწყვიტა და პასუხისათვის პოლიციის დეპარტამენტს მიმართა. დეპეშაში, რომელიც პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა 1899 წლის 12 მარტს, ნათქვამია:

„პეშკოვი ჭლექით არის ავად. ექიმები მოითხოვენ დაუყონებლივ ყირიმში მის წასვლას. ის დეპეშით ითხოვს ნება დავრთოთ. 1898 წლის ცირკულიარის № 194 თანახმად, გიდგენთ და გთხოვთ გასცეთ უშუალო პასუხი ნიჟნი-ნოვგოროდში ჟანდარმთა სამმართველოს.

პოლკოვნიკი დებილი".

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მ. გორკის ნება დართო გადასულიყო იალტაში, სადაც ის ჟანდარმების ცნობით კიდეც გაემგზავრა 15 მარტს.

რა სთქვა მ. გორკიმ დაკითხვაზე, როგორი ჩვენება მისცეს სხვებმა და რა ბედი ეწია დანარჩენ ბრალდებულთ?

მ. გორკის დაკითხვაზე თავი ჩინებულად ეჭირა, ერთი ზედმეტი სიტყვა და უადგილო ფრაზა მას არ წამოცდენია, რაც ამტკიცებს, რომ „ვინმე პეშკოვი" არც ისე გულუბრყვილო იყო პოლიტიკაში, როგორც ეს ჟანდარმთა მასალებიდან გამოდის.

თვით ჟანდარმების ცნობით, მ. გორკის არ უთქვამს დაკითხვის დროს არაფერი ისეთი, რასაც საქმისათვის რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა. მან დაადასტურა, რომ იცნობს ფ. აფანასიევს და ცხოვრობდა მასთან ერთ ბინაზე. რაც შეეხება მის ხეტიალს, ეს მან ახსნა „მძიმე ზნეობრივი მდგომარეობით, რომელშიაც ის იმყოფება გაუზიარებელი სიყვარულის გამო". ის არ უარყოფს, რომ მათ საერთო ბინაზე იკრიბებოდა მოსწავლე ახალგაზრდობა, მაგრამ ამ კრებებს ჰქონდა უბრალო საღამოების ხასიათი. რაც შეეხება საკითხს ეწეოდა თუ არა ფ. აფანასიევი აგიტაციას მუშებში,—მან განაცხადა, რომ ასეთი რამ მას არაფერი შეუმჩნევია. სამაგიეროდ ასე თავდაჭერილი როდი იყო ზოგიერთი დანარჩენის პასუხი.

ერთმა მოწმეთაგანმა, რომელიც დაკითხულ იქნა დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვარიანთკარში, დაასახელა ზოგიერთი იმათგანი, რომლებიც აფანასიევსა და პეშკოვთან დადიოდენ. პეშკოვის გარდა არც ერთს მათგანს არაფერი ჰქონდა საერთო აფანასიევთან, ესენი მხოლოდ სწავლობდენ და ცდილობდენ სასწავლებელი დაემთავრებიათო. რაც შეეხება პეშკოვს მოწმის განცხადებით, მას აოცებდა პეშკოვის აშკარა პოლიტიკური არაკეთილსაიმედოვნება (ისე, როგორც აფანასიევის), რაც გამოიხატებოდა მკაცრ და უკიდურეს მსჯელობაში მუშათა საკითხის შესახებ. ფიქრობენ, რომ აფანასიევის მთავრობის საწინააღმდეგო გაბოროტებული მიმართულება პირდაპირი შედეგია მასზე პეშკოვის გავლენისა. პეშკოვს თავი მოჰქონდა თავის ცოდნით, რომელიც მას შეძენილი აქვს სკოლის გარეშე. პეშკოვის სახელი არის დიმიტრი, მაგრამ მას ეძახდენ „მაქსიმიჩს". ასეც ეწერა მის სადარბაზო ბარათებზე. შემდეგ მოწმემ განაცხადა, რომ პეშკოვთან დადიოდენ აგრეთვე ლეჟავა, გრომზინი და სერგო ვართანოვი.

მეორე მოწმემ განაცხადა, რომ პეშკოვი დადიოდა მწერალ ფლეროვსკისთან, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე მსახურობდა, შემდეგ პეშკოვი გაემგზავრა თბილისიდან, ხოლო ადრე ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრობდა“-ო.

მესამე მოწმემ ასეთი ჩვენება მისცა: პეშკოვი უაღრესად საეჭვო პირია. მან შემოიარა მთელი რუსეთი, უმთავრესად ფეხით.

მეოთხემ აჩვენა: აფანასიევისა და პეშკოვის საუბრებიდან მან გამოიტანა „სრული და უთუო რწმენა იმის, რომ პეშკოვი პოლიტიკურად კეთილსაიმედო არ არის“. მას აგონდება პეშკოვის მოთხრობები და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „პეშკოვი ღებულობდა მონაწილეობას მუშათა აგიტაციაში, ის ასე ხშირად და მკაცრად ლაპარაკობდა ამ თემაზეო“.

ჟანდარმერიას ძლიერ აკვირვებდა, რომ პეშკოვი თბილისში ცოტა ხანს დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ „ნივთიერად ის სავსებით უზრუნველყოფილი იყო“, რომ აფანასიევმა უარი განაცხადა დაესახელებია იმ კაცის გვარი (პეშკოვის), რომლის სურათი მას გაჩხრეკის დროს ჩამოართვეს.

მიუხედავად ყველა ამისა, ვერც გამცემლობამ და ვერც ჟანდარმერიის „ლოღიკურმა დასკვნებმა“ საქმეს ვერ უშველა: ჟანდარმერიამ ვერ შესძლო დიდი ხნით მ. გორკის დაჭერა და იძულებული შეიქნა იგი გაენთავისუფლებია.

დანარჩენების ბედი ასე გადაწყდა. უმაღლესი ბრძანებით საქმე დამთავრდა ადმინისტრატიული წესით 1899 წლის 13 ივნისს: 1) ფედია აფანასიევი, ანა კისელოვსკაია, გიორგი ფრანჩესკი და ივანე გრომუხინი გადასახლებულნი იქნენ ვიატკის გუბერნიაში სამ-სამი წლით.

2) ალექსანდრე ბოგორაზი ორი წლით იმავე ვიატკის გუბერნიაში.

3) დინა მეტერსკაიას აეკრძალა საფაბრიკო ქალაქებში ცხოვრება ორი წლით. მას მიეცა ნება აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი ებრაელთა ბინადრობის ხაზის ფარგლებში.

4) საკმაო საბუთების უქონლობის გამო მოსპობილ იქნა წარმოებით საქმე ალექსი პეშკოვისა და მიხეილ კალანდაძის შესახებ.

ეს დადგენილება ეცნობა მეტეხის ციხის უფროსს აფანასიევისა და ლუზინის შესახებ, ვორონეჟის უფროსს ფრანჩესკის შესახებ, ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწეს კალანდაძის შესახებ, ადესის ჟანდარმთა სამმართველოს უფროს დინა მეტერსკის შესახებ, ნიჟნი-ნოვგოროდის ჟენდარმთა სამმართველოს პეშკოვის შესახებ და ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს ალ. ბოგორაზის შესახებ.

ლეო შენგელაია.

# იმედები არ გაუმართლდათ

ამ სამი კვირის წინად გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა დონბასის ქვა-ნახშირის მრეწველობაში ეკონომიურ-კონტრ-რევოლიუციონერთა ორგანიზაციის აღმოჩენისა და ამ ორგანიზაციის მონაწილეთა დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულთა შორის იმყოფება რამოდენიმე გერმანელი მოქალაქე, რომლებიც საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობდნენ დონბასის მრეწველობაში და როგორც წინასწარ გამორკვეული ფაქტებით ირკვევა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ შეთქმულებაში.

როდესაც საბოლოოდ დადასტურდა კონტრ-რევოლიუციონერთა დამღუპველი საქმიანობა ჩვენი მრეწველობის წინსვლის საქმეში, საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო გადამჭრელი ზომები, რომ უზრუნველეყო მრეწველობის ამ ერთად-ერთი ძლიერი დარგის ბუნებრივი წინსვლა. აქ მოულოდნელი და საკვირველი არაფერია. ასე უნდა მოქცეულიყო ის ხელისუფლება, რომელიც მოწოდებულია სოციალისტური მშენებლობის საწარმოებლად და მშრომელი მასების ინტერესების დასაცავად.

გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობისათვის, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გასაფართოვებლად, საკმაო საბუთი შეიქნა რამოდენიმე გერმანელი მოქალაქის დაპატიმრება, რომ მას დაუყონებლივ შეეწყვიტა ხსენებული მოლაპარაკება. დღეს საკმაოდ აშკარაა ის ფაქტი, რომ გერმანიის მთავრობა ამ შემთხვევაში წამოეგო ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ანკესზე, რომელიც დიდი ხანია ცდილობს გერმანიის გადაბირებას ანტი-საბჭოთა ბლოკში. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ამ საკითხს არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობას, რამდენადაც გერმანიის მენშევიკური პარტიის დამოკიდებულებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ გერმანიის მენშევიკური პარტიის ლიდერები ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე სდგანან ყოველგვარ ანტისაბჭოთა კამპანიის დროს და გაცილებით უფრო მეტ გესლსა და შხამს ანთხევენ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ვინემ ზოგიერთი ბურჟუაზიული პარტიები. ამ მხრივ მენშევიზმის ლიდერებს სათანადო გამოცდები აქვთ უკვე ჩაბარებული და მათ ამ „მოღვაწეობაში“ ვერავინ წააჯობებს.

ეხლაც გერმანიის მენშევიზმის ლიდერებმა არ დაიშურეს თავიანთი ძალღონე და ქება-დიდება მიუძღვნეს გერმანიის ბურჟუაზიულ მთავრობას სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლისათვის. ისინი მოუწოდებდნენ გერმანიის მთავრობას კიდევ უფრო გადამჭრელი ზომების მიღებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში მენშევიზმის ერთ-ერთ ლიდერმა — ჰილფერდინგმა თავისი გამოსვლით ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ხოლო „ფორვერტსი“ აცხადებდა, რომ სხვაგვარი მოქმედება შეუძლებელი იყო თვით წმინდა სოციალისტური მთავრობის მიერაცო. ამით გერმანიის მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ დაადასტურა, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობაც მოიქცეოდა გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობის მსგავსად და ჩაშლიდა ეკონომიურ მოლაპარაკებას.

მენშევიზმის ლიდერების ასეთ თვალსაზრისს, რომ მართლაც იზიარებდეს ამ პარტიაში გაერთიანებული მისი წევრები და მშრომელთა ფართე მასები, რა თქმა უნდა, ამას ექნებოდა უაღრესად დიდი და საბედისწერო მნიშვნელობა მშვიდობიანობის საქმის შემდგომი უზრუნველყოფისათვის, მაგრამ მენშევიზმის ლიდერების სამწუხაროდ ეს ასე როდია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც მენშევიკურ პარტიის წევრთა მასები სრულებითაც არ იზიარებენ თავიანთი ლიდერების მოღალატურ თვალსაზრისს და გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევენ მათ. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ ორი ფაქტი. პირველი, როდესაც მენშევიზმის ლიდერებმა პრეზიდენტის არჩევნების დროს თავიანთი კანდიდატი მოხსნეს და ამომრჩევლებს მოუწოდეს ხმა მიეცათ ბურჟუაზიულ პარტიების კანდიდატ-მარქსისათვის და მეორე გოგენცოლერების საგვარეულოსთვის ჩამორთმეულ ქონების დაბრუნების საკითხში მენშევიზმის ლიდერების მიერ დაკავებული პოზიცია.

მიუხედავად ბელადების მოწოდებისა, მუშა-ამომრჩევლებმა პასიურად შეხვდენ პრეზიდენტის არჩევნებს და მასში არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა, ხოლო მენშევიკ-ამომრჩეველთა ერთმა ნაწილმა ხმა მისცა კომუნისტური პარტიის კანდიდატს. მენშევიზმის ლიდერების ასეთმა გამყიდველობამ შესაძლებლობა მისცა მონარქისტ ჰინდენბურგს პრეზიდენტის სავარძელში წამომსხდარიყო.

კიდევ უფრო სამარცხვინო იყო გერმანიის მენშევიზმის ლიდერების საქციელი ჰოგენცოლერნებისათვის ჩამორთმეულ ქონების დაბრუნების საკითხში. ისინი აშკარად უჭერდენ მხარს ჰოგენცოლერებისათვის ქონების დაბრუნებას, მაგრამ მენშევიკი მასები ამის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ, რის შედეგად კომუნისტური პარტიის მოთხოვნით გამართულ რეფერენდუმში კომპარტიამ 14 მილიონზე მეტი ხმა მიიღო და ყველასათვის ცხადია, რომ ამ ხმების დიდი ნაწილი მენშევიკ-მუშების ხმა იყო.

ასეთივე სულიერი განწყობილებაა ამჟამადაც. მართალია, მენშევიზმის ლიდერები აშკარად მოუწოდებენ გერმანიის მთავრობას ანტისაბჭოთა ბლოკში გადასაბარგებლად, მაგრამ მასების სულიერი განწყობილება ამის სრულიად წინააღმდეგია და პირიქით, აქტიურად მოითხოვს გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას და საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის განმტკიცებას.

სხვათა შორის, ასეთი მისწრაფების ნათელ სურათს იძლევა გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ხემნიცის ორგანიზაციის გაზეთი „ხემნიცერ ფოლკსშტიმმე“. ამ გაზეთში მოთავსებული წერილი გადმობეჭდილი იყო მოსკოვის ზოგიერთ გაზეთებში.

გერმანელი მენშევიკების ზემოხსენებული გაზეთი სრულიად სამართლიანად სცნობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს კონტრ-რევოლიუციონერთა დაპატიმრების შესახებ, სასტიკ პროტესტს აცხადებს გერმანიის მთავრობის მიერ სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლის წინააღმდეგ და დასძენს: „ჩვენ განსაკუთრებით ვწუხვართ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ ყოველგვარ შენიშვნის გარეშე მოიწონა გერმანიის ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის მოქმედება და თითქმის აღტაცებით მიესალმა მას. ნუ თუ ბოლშევიკებისა და მათი გერმანელი თანაშემწეების ბრმა სიძულვილემა იმდენად დააბრმავა ბერლინელი სოციალ-დემოკრატები, რომ ისინი ვერ ამჩნევენ ნამდვილ მიზეზებს, რომელიც საფუძვლად უდევს გერმანიის ღონისძიებებს და იმ საშიშროებას, რომელიც აქედან გამომდინარეობს? ნუ თუ საბჭოთა მთავრობა ყოველ მიზეზს და ყოველგვარ შემოწმების გარეშე უნდა შეიქმნეს მტყუანი და გერმანიის ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობა მართალი? ეს საკითხები, რომლითაც ჩვენ მივმართავთ სოციალ-დემოკრატიულ პრესას, მიტომ არის ასე სერიოზული, რომ ბერლინის პარტიული ხელმძღვანელობა სრულიად მოკლებულია საერთაშორისო სოლიდარობისა და საერთოდ სამართლიანობის გრძნობას. შესამჩნევი ხდება რაღაც მსგავსი განწყობილების განმეორება, როგორიც სუფევდა 1914 წლის აგვისტოში. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი საფრთხე ემუქრება პროლეტარიატს უფრო სერიოზულ მომენტში, თუ მათ უხელმძღვანელებს ასეთი ბეცი ადამიანები. წინააღმდეგ ბერლინის სოციალ-დემოკრატიული პრესისა, ჩვენ მთელი ენერგიით პროტესტს ვაცხადებთ გერმანიის მთავრობის უკანონო და საშიშ ნაბიჯის წინააღმდეგ, რომელიც ემსახურება მხოლოდ განსაზღვრულ ეკონომიურ ჯგუფების ინტერესებს და და ამ პროტესტში ჩვენთან იქნება გერმანიის მუშათა კლასის ფართე მასები“.

აქედან აშკარაა, თუ როგორი აზრთა წინააღმდეგობა არსებობს გერმანიის მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელ ჯგუფსა და ამ პარტიის წევრ-მუშათა მასებს შორის. გერმანიის მუშათა კლასის ის ნაწილიც კი, რომელიც ჯერ კიდევ მენშევიკურ პარტიაში ირიცხება, უკმაყოფილო და წინააღმდეგნი არიან ლიდერების გამცემლური პოლიტიკის და მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში არ სცნობენ ლიდერების ხელმძღვანელობას. გერმანული გაზეთი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ომის საფრთხის მოახლოვების პერიოდში დიდი საშიშროებას წარმოადგენს პროლეტარიატისათვის მენშევიკური პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელები.

გერმანიის კომუნისტური პარტია მენშევიკური მასების ასეთ სულიერ განწყობილებას ყოველთვის შესაფერისად იყენებდა და დღესაც გამოიყენებს. კომპარტიის მოვალეობაა მენშევიკურ მასებში დაწყებულ გარდატეხას კიდევ უფრო შეუწყოს ხელი. დაუნდობლად ამხილოს მენშევიზმის ლიდერების მოღალატეობა და დარაზმოს მუშათა კლასი, როგორც კაპიტალიზმის დასამხობად, ისე მენშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ ჯებირს სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ.

გერმანიის მენშევიზმის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ გერმანია გადაისროლონ ანტისაბჭოთა ბლოკში და ამით ხელი შეუწყონ ახალ, მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებას. ამ შემთხვევაში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად მათ გამოიყენეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ რამოდენიმე გერმანელ კონტრ-რევოლიუციონერის დაპატიმრება, მაგრამ,—როგორც სჩანს, გერმანიის მთავრობა ვერ აპირებს ასე შორს წასვლას, მას მენშევიზმის ლიდერებზე უფრო უკეთ აქვთ გათვალისწინებული, თუ რა შედეგებს მოუტანს გერმანიას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის ჩაშლა და ამიტომ არის, რომ როგორც ბურჟუაზიული პრესა, ისე მმართველი წრეები უკან იხევენ და მოწადინებული არიან კვლავ განაახლონ მოლაპარაკება.

ამ დღეებში ვოლფის სააგენტო აცხადებდა: „გერმანიის დაინტერესება დაპატიმრებულ ინჟენრების და ტეხნიკოსების ბედით საბჭოთა მოღვაწეებს შესაძლებლობას აძლევს საქმე ისე გამოიყენონ, თითქოს გერმანია ისახავს რაღაც ბნელ მიზნებს, აპირებს მოწინააღმდეგის ბანაკში გადასვლას და ინგლისის პოლიტიკის იარაღად გახდომას. გერმანიის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე. რომელსაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა, არ აპირებს გერმანიის პოლიტიკის შეცვლას. გერმანიას არ სურს თანამშრომლობის შეწყვეტა მოსკოვსთან“-ო.

შეუძლებელია არ დაუჯეროთ ზემოხსენებულ განცხადებას. მართლაც გერმანიას მისი სასიცოცხლო ინტერესები იმდენად უკარნახებენ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობას, რომ სხვანაირი გზის არჩევა შეუძლებელია გერმანიის მმართველი წრეების მიერ.

ამრიგად, გერმანიის მენშევიზმის ლიდერები, რომლებსაც საპარლამენტო არჩევნების მოახლოვების გამო სურდათ საარჩევნო კაპიტალის შეძენა და მით მომავალ კოალიციონურ მთავრობაში პორთფელების მიღებმა, კიდევ ერთხელ გამოვიდნენ გაბახებულნი თავიანთი საქციელის გამო. მათ ვერ დაიმსახურეს ვერც ბურჟუაზიის თანაგრძნობა და საკუთარი პარტიის მასების თვალშიც შერცხვენილნი დარჩენ.

ასეთი განაჩენი მოელის ყველა იმას, ვინც კიდევ ცდილობს ოქტომბრის რევოლიუციის და მის ხელმძღვანელ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას და პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხებას.

**ს. ელიაძე.**

# სოციალისტურ აღმშენებლობისათვის

ქვეყნის მშენებლობისათვის არაა საკმარისი მარტო ის საშუალებები, რომლებიც გროვდებიან თვით მეურნეობაში, ან და ვიღებთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგადასახადო შემოსავლის სახით.

იშვიათია ისეთი სახელმწიფო, გარდა ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელიც სცოცხლობდეს თავის საკუთარ ეკონომიური რესურსებით და არ იღებდეს სესხს გარეშე სახელმწიფოებისაგან.

მთელ მსოფლიოში ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური კავშირი, სახელმწიფო მუშებისა და გლეხების, რომელიც სცოცხლობს და არსებობს მხოლოდ საკუთარი მონაგარით და რომლის მიწა-წყალი გარშემორტყმულია ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადით.

მსოფლიოს ეს მტაცებლები აბა როგორ შეურიგდება ისეთი ქვეყნის არსებობას, სადაც მე-11 წელია მუშათა კლასი და გლეხობა აშენებს სოციალიზმს და თვით ფაქტი მშენებლობისა წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის და უდიდეს საფრთხეს უმზადებს კაპიტალიზმს.

ეს იყო მთავარი მოტივი, რომლის შედეგად ინგლისის ბურჟუაზიამ პირველმა გასწყვიტა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ საკავშირო მშრომელებმა სულ ჩქარა დაამტკიცა, რომ ინგლისის კონსერვატორებმა მომხდარი უგუნური აქტით ოდნავადაც ვერ შესძლეს ჩვენი სამეურნეო გეგმის ჩაშლა.

ინგლისმა გააუქმა რა სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, ამით საგრძნობი ზიანი მიაყენა თავისივე ქვეყნის კაპიტალისტების ჯიბეს, რომელნიც თვითონვე იყვნენ დაინტერესებულნი სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებისა საბჭოებთან. ინგლისის მსხვილმა წარმოებებმა დაჰკარგა უდიდესი დაკვეთა 10 მილ. გირვ. სტერლინგის რაოდენობით, რომელსაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სავაჭრო და საკრედიტო დამოკიდებულებაში. სწორედ ამით აიხსნება კაპიტალისტების ის ჩუმი წუწუნი და უნდობლობა კონსერვატორული მთავრობის ურა-პოლიტიკისადმი, რომელმაც ჰპოვა კიდეც პრესის სამართლიანი გამოხმაურება: 28 მაისიდან მთავრობა ველარ დაეხმარება ინგლისის მწარმოებლებსა და ვაჭრებს, საბჭოთა კავშირთან შექმნილ მდგომარეობის უმტკივნეულოდ მოგვარება ალარავის ძალუძს, რუსული დაკვეთები ინგლისიდან გადატანილ იქნება სხვაგან, — გერმანიაშიო.—სწერდა ერთ-ერთი ინგლისური ავტორიტეტული ჟურნალი.

ამნაირად, სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის გამო, ინგლისის წარმოებამ იგემა დიდი ზარალი. ჩვენ კი გაუძელით და მომავალშიაც გაუძლებთ ევროპის მხრით ბოიკოტის ყოველგვარ ცდას კრედიტის მიცემის საქმეში ყოველგვარ სავაჭრო დამოკიდებულების გარეშე, ისე რომ, აღმშენებლობაში გზადაგზა არ გვქონია და არც გვექნება მაინცა და მაინც დიდი დაბრკოლებები.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს ნავარაუდევი აქვს შემოუვიდეს 5.900 მილიონ, მანეთზე მეტი, აქედან 2,645 მილ. მანეთი ხაზინას უნდა მისცეს რკინისგზებმა, ფოსტამ, ტელეგრაფმა, ვაჭრობამ, წყალთა მეურნეობამ და შემოსავლის სხვა წყაროებმა. დაახლოებით 2,745 მილ. მანეთი უნდა შემოვიდეს გადასახადებისაგან. დანარჩენი 500 მილიონი მანეთის შესაგროვებლად მთავრობა მიმართავს თავის მოსახლეობას—სესხის სახით.

მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე მშრომელებმა ღირსეულად შეასრულეს თავის მოვალეობა. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციამ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს, მან გადააჭარბა შესაგროვებლად ნავარაუდევ თანხასაც კი. ინგლისთან გაწყვეტილ სავაჭრო ურთიერთობის შედეგად მან მისცა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას 200 მილ. მანეთზე მეტი. ამ სესხის განაღდებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა განსაკუთრებით წარმოებაში ჩაბმული ქალაქის მუშები და მშრომელები.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ამხ. რიკოვი პარტიის მე-15 ყრილობაზე:

„მიმდინარე სამეურნეო წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სესხის რეალიზაციის შემოსავალს, რომელიც აღწევს 500 მილიონ მანეთს. ამისათვის საჭიროა აუცილებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახელმწიფო კრედიტის ოპერაციების განვითარებას. ამ დარგში რომ ბევრი გაკეთდა, და შეიძლება გაკეთდეს, ამას ამტკიცებს ინდუსტრიალიზაციის სესხის მაგალითი. ამჟამად ინდუსტრიალიზაციის სესხი უკვე გასაღებულია იმაზე მეტი, ვიდრე განსაზღვრული იყო. ასეთი წარმატებითი გავრცელება სესხისა ამჟღავნებს იმას, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ ყოველივე იმას, რაც ხდება ცხოვრების სიღრმეში. ინდუსტრიალიზაციის სესხის დადებითი შედეგები საწინდარი უნდა იყვეს ამ დარგში ახალ-ახალი მიღწევებისა და ამ სესხის მაგალითი გამოყენებულ უნდა იქნეს ამ მიმართულებით პოლიტიკის გაგრძელების მიზნით. თუ ჩვენ ნაყოფიერად ჩავატარეთ ეს ქალაქში, მაშინ არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სათანადო წინასწარი მომზადებით სოფლის ქალაქთან დაკავშირებული გზების მაქსიმალური გამოყენებით ჩვენ შევსძლებთ წარმატებით ჩავატაროთ სოფლად სესხის რეალიზაციის საქმე“.

როგორც ვხედავთ, სესხი მოწოდებულია სახელმწიფო საშუალებათა შესავსებად და იმ მოთხოვნილების დასაფარავად, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო გეგმის აღმშენებლობასთან. ერთის მხრით სახელმწიფო სესხის საშუალებით გროვდება ის წვრილი და გაფანტული თანხები, რომელიც მოსახლეობაშია შენახული და უძრავად დევს, ხოლო მეორეს მხრით აქედან ამოქაჩული თანხები ხელს უწყობს თვით ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას, ხელს უწყობს სოფლისა და ქალაქის მშრომელების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც ვსთქვით, მიმდინარე სამეურნეო წელში შინაური სესხის საშუალებები სახელმწიფომ უნდა დააგროვოს 500 მილ. მანეთი. ორასი მილიონი უკვე გაიღო ქალაქის მუშებმა და მოსამსახურეებმა. მეორე 200 მილიონს იძლევა სხვადასხვა სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო 100 მილ. მანეთი უნდა მისცეს სახელმწიფოს სოფელმა გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის სახით.

სესხით დაგროვილი თანხები უნდა მოხმარდეს უმთავრესად ახალი რკინისგზების გაყვანას, როგორიცაა მაგალითად, ციმბირ-თურქესტანის რკინისგზა და, რომელიც დიდათ გაადვილებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეს. საგრძნობლად განავითარებს ქალაქისა და სოფლის ურთიერთ-შორის სამეურნეო-საწარმოო დამოკიდებულებას, როგორც შორეულ ციმბირში, ისე თურქესტანში. კიდევ ეს თანხები მოხმარდება ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარებას, ფაბრიკა-ქარხნების აგებას, გლეხობისათვის გაუმჯობესებულ თესლის შეძენას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერებას, საავადმყოფოების, გზებისა და სკოლების გამრავლებას და სხვა სამეურნეო-კულტურულ საჭიროებებს.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში დასახული ამოცანები მეტად რთულია და დიდი. საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტში ამ საქმისთვის გაღებულია 170 მილ. მანეთი.

სოფლად საგლეხო მეურნეობის განვითარების სესხი გამოშვებულია 100 მილიონი მანეთის რაოდენობით. ნახევარზედ მეტი იმ ხარჯებისა, რომელიც უნდა მოხმარდეს სოფლად სამეურნეო აღმშენებლობას— სახელმწიფოს ამ ახალმა სესხმა უნდა მისცეს. ჩვენ ვიცით, რომ

ინდუსტრიალიზაციის 200 მილიონიან სესხს დაეწაფა და მთლიანად ამოსწურა კიდეც ქალაქის მუშებმა. გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხი ვრცელდება ჩვენი ქვეყნის გლეხურ მოსახლეობის გულში. სესხის რეალიზაციის ჩასატარებლად მაზრებში დაგზავნილი ამხანაგები გვიამბობენ, რომ გლეხები პირველ **დაძახებისთანავე** დიდის ენტუზიაზმით შეხვდა სესხის განაღდების კამპანიას, რომ სოფლად იგი მიმდინარეობს წარმატებით და არის იმედები ვიფიქროთ მისი ასი პროცენტით ვასაღებისათ.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მშრომლების ამგვარი თანაგრძნობა მმართველ პარტიისა და ხელისუფლების მიმართ, ერთხელ კიდევ ღაღადებს იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს გლეხკაცობა ჭირშიაც და ლხინშიაც გვერდში უდგანან თავის ხელისუფლებას.

არის თუ არა ყველაფერი ეს მაგარი **კოზირი და უკა**კუნებს თუ არა თავში რევოლიუციის მიერ განდევნილ ყველა რანგის ემიგრაციას, და განსაკუთრებით მენშევიკურ ემიგრაციას, რომელსაც ხშირად უყვარს ისტერიული ყიჟინი ბოლშევიკურ ტირანიაზე საქართველოში, ხალხის დამონებაზე, ხელისუფლებისაგან მის განდგომაზე, აჯანყებებზე და სხვა პროვოკაციებზე?

ეხლა თვალი გადავავლოთ ციფრებს თუ როგორაა განაწილებული თანხები საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის 1927—28 წელს საქართველოში:

1) **მსხვილი მრეწველობის** თვითეულ ცალკე მეურნეობისათვის გადადებულია 2,099,000 მანეთი.

2) **წვრილი მრეწველობის** მოსაწყობად უნდა დაიხარჯოს 3.214.000 მანეთი.

3) სასოფლო სამეურნეო კრედიტის ხაზით საქართველოს გლეხობის ვალი 1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის უდრის 12,970,000 მან.,

4) ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ანგარიშით ბანკის მოგებიდან გლეხებს გადაეცემა 2,205.000 მანეთი

5) ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის შედგენილ გეგმით რეალური ზრდა საშუალებათა, რომელიც მიმდინარე წელში მიემატება საგლეხო მეურნეობას —შეადგენს 2,205.000 მანეთს.

6) სასოფლო-სამეურნეო კოპერაციას კოოპერატიულ ბანკის გრძელვადიან ფონდიდან მიეცემა — 82,000 მანეთი.

7) სხვადასხვა წვრილ მეურნეობისათვის მიეცემა— 1.261.000 მანეთი.

ამნაირად, 1927—28 წელში საქართველოს ცალკე მეურნეობისათვის გადადებული თანხების მთლიანი ჯამი შეადგენს — 24.036.000 მანეთს.

საბჭოთა ხელისუფლების მოძულე მტრები კი გაიძახიან: ბოლშევიკების ხელში საქართველო იყვლიფება, მისი ეკონომიკა ინგრევა და ილუპება. ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები კი გვეუბნება, რომ დღევანდელი საქართველო კი არ ილუპება, არამედ წელში იმართება, მისი დაცემული ეკონომიკა იზრდება, ვითარდება და კიდევ უფრო უკეთესს მერმისს უქადის მის ეროვნულ მომავალს. ქართველი ხალხის მშრომელი ნაწილი საბჭოთა მშენებლობის 7 წლის თავზე უკვე დარწმუნდა, რომ მხოლოდ ბოლშევიკური ხელისუფლება ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის და დაუზოგავის ენერგიით აუმჯობესებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელთა მდგომარეობას.

ა. ვადაჭკორია

# „ეკონომიური ანტანტის" შექმნის იდეა დამარცხდა

მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოთა კოალიციიდან გერმანიამ ყველაზე მეტი ტერიტორია დაკარგა, იგი ძალზე შეურაცყოფილი დარჩა, ვერსალის ხელშეკრულებით სავსებით დაკმაყოფილებული იქნა არა მარტო საფრანგეთის ისტორიული პრეტენზია ელზას-ლორენის შესახებ, არამედ მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი იმპერიალისტური პოლონეთის ყოველმხრივ გაუმართლებელი მოთხოვნილებები ზემო-სილეზიის ჩამორთმევისა და დანციგის კორიდორის შექმნაზე. იმპერიალისტების გამარჯვებული მხარე გერმანიისაგან მარტო კონტინენტალური ტერიტორიის ჩამოჭრით როდი დაკმაყოფილდა. მას ჩამოერთვა აგრეთვე ყველა კოლონიები და განაწილებული იქნა გამარჯვებულთა შორის. უკანასკნელად, რომ სრულებით ჩამოეშორებიათ გერმანიის მრეწველობის კონკურენცია ბაზარზე, ესეც არ აღმოჩნდა საკმაო და საჭიროდ დაინახეს მოკავშირეებმა, რეპარაციების გარანტიის სახით, თავის გაგნკარგულებაში აეღოთ გერმანიის მრეწველობის მასაზრდოებელი ნახშირის რაიონი—რეინის და საარის ოლქები და ეკონომიური კონტროლი დაეწესებიათ მის მრეწველობაზე.

ვერსალის ხელშეკრულებით და მის მიერ გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებებით, იმპერიალისტების გამარჯვებულ კოალიცია ასე ხელოვნური საშუალებებით შედიოდა და ანადგურებდა ტეხნიკურად განვითარებულ გერმანიის ინდუსტრიას, არღვევდა მის ეკონომიურ ორგანიზმს.

1922 წ. რაპალოში დადებული ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, ეს იყო პირველი ჭრუჭუტანა, საიდანაც მოკავშირეების რკალის სქელ კედლებში მოქცეულ გერმანიის მრეწველობას შეეძლო ჰაერის შოვნა და სიცოცხლის გახანგრძლივება.

ლოკარნოს კონფერენციის შემდეგ, რომელიც იყო მოწვეული დიდი ბრიტანეთის ინიციატივით გერმანიის თავის გავლენის ქვეშ დასაყენებლად და მისი საფრანგეთისა და საბჭ. კავშირისათვის დასაპირისპირებლად, დაუესის გეგმის გატარებამ, საშუალება მისცა გერმანიას საგარეო სესხის აღების და მით მრეწველობის განვითარებისათვის ფართო სარბიელის შექმნის

მაგრამ მარტო მრეწველობის განვითარება და პროდუქციის გაზრდა თავისთავად არაფერს მისცემს გერმანიის ბურჟუაზიას, პირიქით, ეს კიდევ უფრო დააჩქარებს მრეწველობის კრიზისს, თუ არ აქვს მას სათანადო ბაზარი, თუ არ ხერხდება საქონლის რეალიზაცია. ამ მხრივ გერმანიის მრეწველობის ასპარეზი ძალზე განსაზღვრულია, ისევ შევიწროვებულია. ერთად-ერთი ბაზარი, სადაც მას შეუძლია სხვა სახელმწიფოებთან ერთად თანასწორ პირობებში გამოსვლა, ეს არის საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას გერმანიის კაპიტალისტურ წრეებს ისეც უკარნახებს, რომ საბჭოთა კავშირთან არ არის მოსალოდნელი კაპიტალიზმის დამახასიათებელი ანტაგონიზმის შექმნა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება შორსაა ეკონომიური ჰეგემონიის ლტოლვისაგან და აქედან გამომდინარე იმპერიალიზმისაგან.

ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ, რომელიც დაიდვა ორი წლის წინედ, კიდევ უფრო გაფართოვდა გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა. ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით, გერმანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში უკანასკნელ წელში, წინა წელთან შედარებით, 30 პროც. გაზრდილა. თუ 1926 წ. იგი უდრიდა — 264.7 მილ. მარკ., 1927 წ. წ. ასულა დ366,3 მილ. მარკ.

სამი კვირის წინედ, გერმანიის ინიციატივით, ბერლინში დაიწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება, რომელსაც უნდა გადაესინჯა ძველი ხელშეკრულებები და დაგროვილი გამოცდილების მიხედვით შეესწორებია და გაეფართოვებია იგი ზოგიერთი ტეხნიკური წინადადებების მიღებით.

დაწყებული მოლაპარაკება, როგორც ვიცით, მოულოდნელად იქნა შეწყვეტილი დონის ოლქში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ - რევოლიუციონურ ჯგუფთან დაკავ-

შირებით, გერმანელ ინჟენრების დაპატიმრების მოტივით და მიზეზით. გერმანელი ინჟინერის დაპატიმრება, ცხადია, არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების ჩაშლის ნამდვილი მიზეზი. მოლაპარაკების ჩაშლა წინასწარ იყო გათვალისწინებული გერმანიის რეაქციონერების მიერ, და არის შედეგი ინგლის-საფრანგეთის რეაქციონერების მიერ გერმანიის რეაქციონერებთან ერთად დაწყებული კამპანიის.

ინგლისის ბურჟუაზია, რომელიც ხელმძღვანელობს ანტისაბჭოთა ფრონტს, დიდი ხანია ცდილობს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლას და გერმანიის „დასავლეთის“ ორიენტაციაზე გადაყვანას. ლოკარნოს ხელშეკრულება წარმოადგენდა პირველ კომპენსაციას, რომელიც გასცა დიდმა ბრიტანეთმა გერმანიის სასარგებლოდ, მისი საბჭოთა კავშირის და, თუ საჭირო გახდება, საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსაყვანად. საფრანგეთთან ამჟამად ინგლისს ერთგვარი ზავი აქვს ჩამოგდებული, დათმობაზე მიდის, უკვე ჩათრეული ყავს ანტისაბჭოთა ფრონტში, ხოლო გერმანია ეხლა უნდა შეიყვანოს ამ ფრონტში.

გერმანიის სოც.-დემ., როგორც ყოველთვის ეხლაც წინ უსწრებენ გერმანიის რეაქციონერებს კეშენდენთან თანამშრომლობაში. ინჟენრების გარშემო შექმნილი კონფლიქტი „ფორვერსტმა“ დიდ სააგიტაციო მასალად გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დამარწმუნებელი კილოთი აცხადებს: „რამდენათაც საბჭოთა კავშირში არ არის მმართველობის დემოკრატიული სისტემა, მომხდარ ინცინდენტს უნდა მოვექცეთ უნდობლათ და ჩავთვალოთ იგი მოჭორილ ზღაპრათო“. შეიდემანელები, რომლებმაც 1914 წ. მხარი დაუჭირეს მსოფლიო ომს, შემდეგ ვეიმარის კოალიციიდან გადავიდენ ჰინდენბურგთან თანამშრომლობაზე. რა თქმა უნდა, არ იქნებიან წინააღმდეგი კეშენდენთან თანამშრომლობის, საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ფრონტზე მუშაობის.

დე-მონზის გამოსვლამ, ეკონომიური მოლაპარაკების პროცესში, „ეკონომიური ანტანტის“ იდეის წამოყენებით, რომელიც, მისი განცხადებით, წარმოადგენს კაპიტალისტური ევროპის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მონოპოლიზაციის გეგმას, რათა შეთანხმებულად უკარნახონ საბჭოთა კავშირს ფასები და პირიქით, სავსებით გამოაშკარავა ევროპის რეაქციონური ბლოკის დამალული განზრახვა. ჟურნალ „პაკსში“ მოთავსებულ ავგურის წერილმა, სადაც ის ამბობდა, რომ კონტინენტალურ ეკონომიურ ბლოკში უნდა შევიდეს პოლონეთი და დიდი ბრიტანეთიო, კიდევ უფრო ნათელი გახადა იგი.

ასეთი გეგმების ავტორებისათვის, ბერლინის ეკონომიური მოლაპარაკების შეწყვეტა, რა თქმა უნდა, დიდი გამარჯვება იყო. საფრანგეთ-ინგლისის რეაქციონერების პრესა დიდი სიხარულით შეხვდა ამ ცნობას, რომელშიდაც მათ დაინახეს გერმანიის საგარეო პოლიტიკის შეცვლა და ჩქარობდენ სათანადო ნაბიჯის გადადგმას. გერმანიის დაძვრას რაპალოსა და ბერლინის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ პოზიციიდან „ეკონომიური ანტანტის“ იდეის განსახორციელბელად.

საფრანგეთ-ინგლისის ოპტიმიზმი ნაადრევი გამოდგა. განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მე-5 სესიის მუშაობამ მალე დაარწმუნა გერმანიის ბურჟუაზია, რომ საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტები მტკიცედ იცავენ ვერსალის ხელშეკრულების პრინციპებს.— მოკავშირეების შეიარაღებულ მდგომარეობას, განიარაღებული გერმანიის წინააღმდეგ. განიარაღების კომისიის სესიაზე, გერმანიის დელეგაცია, მიუხედავად ჰინდენბურგისაგან მიღებულ სხვაგვარ დირექტივებისა, იძულებული გახდა, რომ მხარი დაეჭირა საბჭოთა კონვენციისათვის, და საბჭოთა დელეგაციისათვის, ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ.

გერმანიის რეაქციონური ბურჟუაზია, რომელიც, სამი კვირის წინედ, ასე გულმოდგინეთ ხელმძღვანელობდა ბერლინის ეკონომიური მოლაპარაკების ჩაშლის კამპანიას, განიარაღების კომისიის მე-5 სესიის შემდეგ, იძულებული ხდება თვითონვე გამოვიდეს მოლაპარაკების განახლების ინიციატორათ. ჩემბერლენის მიმდევრებმა გერმანიაში უკვე განიცადეს ეს მორიგი გაწბილება და ამიტომ გაახსენდათ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია საბჭოთა კავშირში უნდა ჩაითვალოს ისეთ ფაქტად, რომლის გარშემო არასოდეს არ იქნება დისკუსია დაშვებულიო. „ბერლინერ ტაგებლატი“ უკვე მიზანშეწონილად ნახულობს, რომ გამოვიდეს ასეთი განცხადებით: „გერმანიისათვის, რომელსაც ჩამორთმეული აქვს ყველა ბაზრები, არ იქნება ხელსაყრელი საფრანგეთთან კავშირში შესვლა, რადგან ეს გამოიწვევს გერმანიის ექსპორტის შემცირებას საბჭოთა კავშირში“-ო. იგი იძულებულია აღიაროს: „გერმანიის ინტერესები მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან, რადგან საბჭოთა კავშირი არ შედის ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილ კორდონში“-ო და საჭიროდ სთვლის მოლაპარაკების განახლებას.

გერმანიის რეაქციონერების ეს მორიგი მარცხი, საგულისხმო და საჭირო გაკვეთილია იმისათვის, რომ იცოდენ, თუ რამდენად საჭიროა მათთვის საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობა, ვაჭრობის გაფართოვება და რამდენად უნდა სცემდენ პატივს საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას, რამდენად უნდა ცდილობდენ მის დაცვას და შენარჩუნებას.

გერმანიის რეაქციონერებში მომხდარი გაწბილება და გარდატეხა, განიარაღების კომისიის მე-5 სესიის შემდეგ, კარგა ხნით ხელმოუკიდებლად ხდის ინგლის-საფრანგეთის მიერ შემუშავებულ გეგმას „ეკონომიური ანტანტის“ შექმნის შესახებ. დე-მონზის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც წარმოადგენდა ფართოდ შემუშავებულ შეთქმულებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკონომიური ბლოკადის შესაქმნელად, განუხორციელებელი რჩება, მას უკვე გამოეცალა ის პატარა ნიადაგიც, რომელიც ჰქონდა შექმნილი განიარაღების კომისიის სესიის წინ. „ეკონომიური ანტანტის“ შექმნის იდეამ გერმანიის მონაწილეობით საგრძნობი დამარცხება განიცადა, მისი კვლავ წამოყენება მოკლე დროში უკვე შეუძლებელია და მოკლებულია განხორციელების ყოველგვარ პერსპექტივას.

**კ. ჯეიშვილი.**

# რას ამბობენ ფაქტები

## პასუხი კ. კანდელაკს

### II.

### მრეწველობის და შრომის საკითხები

1927 წ. პარიზში გამოცემულ ბროშიურაში „რას ამბობენ ფაქტები“ მისი ავტორი კოწია კანდელაკი, სხვათა შორის, აცხადებს შემდეგს: „ყურადღებას თუ მივაქცევთ საბჭოთა კავშირის მიერ გამოცემულ ეკონომიური ხასიათის სტატისტიკურ წიგნებში დაგროვილ სიტყვიერებას და მშრალ მასალას, თქვენ მოგცემთ ნამდვილ სურათსო“. ჩვენ შევეცდებით კ. კანდელაკის სურვილი დავაკმაყოფილოთ და მივაწოდოთ მას მშრალი მასალა, სტატისტიკური ციფრები, რაც მისცემს ნამდვილ სურათს საქართველოს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ შევჩერდებით მრეწველობისა და შრომის საკითხებზე.

## მრეწველობის ზრდის ტემპი

საერთო ჯამი ეკონომიური ცხოვრების ზოგიერთ სფეროში ახლა თითქოს მეტია, ვინემ ამ 6—7 წლის წინეთ. სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი, მრეწველობის, ალებ-მიცემობის, აბსოლიუტური ციფრები ეხლა უფრო დიდია (თუმცა ომის წინა დროს ვერ აღწევს) და ეს „დიდი ციფრები“ საბჭოთა პრესაში ხშირად ქვეყნდება კიდეც შთაბეჭდილების მოსახდენათ. მაგრამ, როცა ამ „დიდ ციფრების“ წონას, შინაარს და რეალურ შედეგებს დააკვირდებით ქარწყლდება შთაბეჭდილება, სურათი იცვლება“-ო—ვკითხულობთ კ. კანდელაკის ბროშიურაში..

თავდაპირველათ ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას საქართველოს მრეწველობის ზრდის საკითხებზე, ამისათვის გავსინჯოთ და ყოველ მხრივ ავწონ-დავწონოთ ციფრობრივი მასალა.

საქართველოას საქარხნო-საფაბრიკო (ცენზიანი) მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926—27 წელში უდრის 54,082,7 ათას ჩერვონულ მანეთს (აღრიცხულია 237 სამრეწველო დაწესებულება 13,707 მუშით (საშუალო წლიური), ხოლო წლის ბოლოს 16,449 მუშით). თუ როგორ ზრდას იძლევა საქართველოს ცენზიანი მრეწველობა; უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან:

**საქართველოს ცენზიანი მრეწველობა (შავი ქვის და წყალსადენის გამოკლებით)**

(საქ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მასალების მიხედვით)

(ცხრილი № 1)

| | 24—25 წ. | 25—26 წ. | 26—27 წ. | %%-ში 24—25 წელთან: 25—26 წ. | %%-ში 24—25 წელთან: 26—27 წ. | 26—27 წ. %%-ში 25—26 წელთან | ზრდის საშვალო წლიური % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო პროდქცია . . . . . . . . (ათას ჩერვ. მან.) | 29,972,6 | 45,156,3 | 48,587,4 | 150,7 | 162,1 | 107,6 | 29,1 |
| მუშების რიცხვი (საშვალო თვის ბოლოდან) . . . . . . . . . . . | 8.809 | 10.219 | 10.934 | 116,0 | 124,1 | 107,0 | 12,5 |

ცხრილში გატარებულია სამი წლის ცნობები ცენზიან მრეწველობის შესახებ, არა მთლიანად, არამედ მის შესადარებელ ნაწილში:. აქ დაცულია ერთგვარობა როგორც ობიექტების მხრივ, აგრეთვე აღრიცხვის მეთოდების მხრივაც. სხვათა შორის, უკანასკნელის მიზნით ჩვენ არ შეგვიტანია ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის და წყალსადენების პროდუქცია (შავი-ქვის შესახებ ცნობები ცალკე იქნება მოცემული). განვიხილოთ ეს ცხრილი დაწვრილებით; რას გვიჩვენებს აქ მოცემული ციფრები? 1925—26 წ. ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია შედარებით 1924—25 წ. გაზრდილა 50,7 პროცენტით, ხოლო 1926—27 წელში პროდუქცია იძლევა მატებას—62,1 პროცენტით (ორი წლის განმავლობაში); მუშების რიცხვის ზრდა ხდება უფრო ნაკლები ტემპით—16 პროცენტით 1925—26 წ. ხოლო 24 პროცენტით ორი წლის განმავლობაში მუშების რიცხვის ზრდის ტემპის ჩამორჩენა აიხსნება შრომის ნაყოფიერების ზრდის. საშუალო წლის ზრდის პროდუქციის მიხედვით 25—26 წ. 26—27 წ. განმავლობაში უდრის 29,1 პროც. განა ეს მოჩვენებითი ზრდა არის, როგორც ფიქრობს კ. კანდელაკი? განა ჩვენ აქ არ ვხედავთ, რომ მრეწველობის პროდუქცია იზრდება წლიდან-წლამდე? მართალია, 1926—27 წ. ზრდის ტემპი შენელებულია, რაც გამოწვეულია მით რომ ამ წლიდან იწყება წარმოების ახალ ტეხნიკურ ბაზაზე თანდათანობითი გადასვლა და მით პირველ ხანებში წარმოების ნორმალური მსვლელობის რამოდენიმეთ შეფერხება ხდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1926—27 წ. იძლევა 7,6 პროცენტით ზრდას, რაც ნორმალური საშუალო წლიური ზრდაზე უფრო მეტათ უნდა ჩაითვალოს.

შეიძლება კ. კანდელაკს ხელთ არ ქონდა უკანასკნელი წლების მასალები და მართლაც 1924—25 წ. მასალები ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ, რომლითაც ის სარგებლობს, იძლეოდეს საშუალებას იმ დასკვნების მიღებისათვის, რომელნიც აქვს მას წამოყენებული თავის ბროშურაში. გავსინჯოთ ეს მასალებიც.. საქართველოს საგეგმო კომისიის გამოცემაში: „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—25 წელში“, რომლითაც უსარგებლია მოქ. კ. კანდელაკს, მე-42 გვერდზე მოთავსებულია შემდეგი ცხრილი:

| მაჩვენებლები | 24—25 წ. | 23—24 წ. | %%-ში |
|---|---|---|---|
| საერთო პროდუქცია (ათას ჩერ. მ.) | 18.528,2 | 10.939,6 | 169,1 |
| მუშების საშუალო რიცხვი . . . | 5.538 | 4.504 | 123,0 |

აქ აღებულია მრეწველობის 12 დარგი და სჩანს, რომ ამ თორმეტი დარგის საერთო პროდუქცია ერთი წლის განმავლობაში 69,1 პროცენტით იზრდება. შეიძლება კ. კანდელაკი ფიქრობდეს, რომ აქ განზრახ შერჩეულია ისეთი დარგები, რომელნიც იძლევიან ზრდას და, თუ სხვა დარგებსაც დაუმატებთ, მაშინ ზრდას აღარ ექნება ადგილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, საქართველოს ცენზიანი მრეწველობა 1924—25 წ. იზრდება შედარებით 1923—24 წელთან 41,4 პროცენტით. თუ აქედან გამოვალთ, როგორც ზევით დავინახეთ, შემდეგი 1925—26 წ. იზრდება უფრო ძლიერი ტემპით—50,7 პროც.

საერთოდ, პროდუქციის ზრდის ტემპი ნაჩვენებია ღირებულებით ჩერვონული მანეთებში. უფრო სწორი მაჩვენებელი პროდუქციის ზრდისა იქნებოდა, თუ ავიღებთ პროდუქციას, შეფასებულს ყველა წლებისათვის ერთ და იმავე ფასებში. ამ შემთხვევაში ჩვენ თავიდან ავიცილებდით ბაზრის გავლენას ფასებზე, მაგრამ ამ წესით შეფასებული ცენზიან მრეწველობ. გამომუშავებული ნაკეთობანი ყველა წლების შესახებ ჯერჯერობით საქართველოს სამრეწველო სტატისტიკას არ აქვს. ჩვენს განკარგულებაშია საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მრეწველობის პროდუქცია, აღებული ერთი და იმავე ომის წინა დროის პროდუქცია, აღებული ერთი და იმავე ომის წინა დროის ჯარები. იმის დასახასიათებლად, თუ როგორია ზრდის ტემპი სამრეწველო წარმოების ფიზიკური მოცულობისა ჩვენში, საკმარისად უნდა ჩაითვალოს, თუ ჩვენ მოვიყვანთ სამი წლის ცნობებს „ს. მ. უ. ს.“-ის მრეწველობის პროდუქციის შესახებ ომის წინა დროის შეფასებაში.

**საქართ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მრეწველობა (აღებულია ს. მ. უ. ს. მრეწვ. შესადარებელი ნაწილი)**

(საქ. სმუსის სტატგანყოფილების ცნობებით)

(ცხრილი № 3)

| | 24—25 წ. | 25—26 წ. | 26—27 წ. | %%-ში 24—25 წ. 25—26 წ. | %%-ში 24—25 წ. 26—27 წ. | 26—27 წ. %%-ში 25—26 წელთან | საშუალო წლიური ზრდის % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო პროდუქციის ღირებ. . . . (ათას ჩერვონ. მანეთებში) | 12.653,4 | 18.901,1 | 21.668,8 | 149,4 | 171,2 | 114,6 | 32 |
| საერთო პროდუქციის ღირებ. . . . (ათას ომის წინა დრ. მან.) | 7.204,7 | 9.999,9 | 11.287,5 | 138,8 | 156,7 | 112,9 | 25,8 |

როგორც ვხედავთ, ს. მ. უ. ს. მრეწველობის ფიზიკური მოცულობა იზრდება 1925—26 წელში 38,8 პროც., ხოლო ორი წლის განმავლობაში — 56,7 პროც. ეს ზრდა ცოტათი ჩამორჩება ჩერვონულ მან. ნაჩვენებ ზრდას. ზრდის საშუალო წლიური პროცენტი ომის წინა დროის შეფასებით უდრის 25,8 პროც., ზევით კი ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ჩერვონ. მანეთებში შეფასებისას ზრდის საშუალო წლიური პროცენტი უდრიდა 29,1 პროც. უკანასკნელი წლის ზრდის ტემპი ს. მ. უ. ს. მრეწველობაში უფრო ძლიერია, ვინემ ცენზიან მრეწველობაში, სადაც შედის კერძო კოოპერატიული და სამაზრო აღმასკომების სამრეწველო დაწესებულებანი. აქ 1926—27 წელი 1925—26 წელთან შედარებით იძლევა 14,6 პროცენტით ზრდას, იმ დროს, როდესაც ცენზიან მრეწველობაში გვაქვს — 7,6 პროც. ზრდა.

თუ ავიღებთ საქართველოს ს. მ. უ. ს.-ის მრეწველობის საერთო პროდუქციას 1927—28 წლის 1-ლ კვარტალში და შევადარებთ 1926—27 წლის 1-ლ კვარტალს, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

საქართველოს ს. მ. უ. ს. მრეწველობა

1927—28 წ. 1-ლ კვარტალი (ს. მ. უ. ს. სტატისტიკის მასალებიდან):

| | I კვარტალი 27/28 წლისა | %%-ში 26/27 წ. I კვარ. (შესად. ნაწილში) |
|---|---|---|
| საერთო პროდუქცია (ათას ჩერ. მან.) | 6.713,3 | 119,2 |
| „ „ (ათას ომ. წ. დრ. მან.) | 3.501,0 | 124,7 |

ცხრილიდან სჩანს, რომ საერთო პროდუქცია ომის წინა დროის შეფასებით (ესე იგი მისი ფიზიკური მოცულობა) იძლევა უფრო მეტ ზრდას, ვიდრე ჩერვონულ შეფასებაში: ომის წინა დროის შეფასებით გვაქვს — 24,7 პროცენტით ზრდა იმ დროს, როდესაც ჩერვონული შეფასებით იზრდება 19,2 პროც. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ერთი წლის მანძილზე (1926—27 წ. 1-ლ კვარტ.—მიმდინარე წლის 1-ლ კვარტ.) მოხდა სამრეწველო საქონელზე ფასების დაწევა. ამის დასამტკიცებლათ მოგვყავს ცნობები სამრეწველო ინდექსის მოძრაობის შესახებ (საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობებით):

| | | ინდექსი | %% |
|---|---|---|---|
| 27 წელი | ოქტომბერი . . . . . . | 2,43 | 100,0 |
| | იანვარი . . . . . . . . | 2,45 | 100,8 |
| | აპრილი . . . . . . . . | 2,21 | 90,9 |
| | ივნისი . . . . . . . . | 2,19 | 90,1 |
| | სექტემბერი . . . . . . | 2,22 | 91,3 |

აქედან სჩანს, რომ სამრეწველო საგნებზე გვაქვს ფასების დაკლება—8,7 პროცენტით.

საინტერესოა მრეწველობის ზრდის პროცენტის ნორმების გამოსარკვევათ ცნობები ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების და ძველი რუსეთის მრეწველობის პროდუქციის შესახებ:

ჩ. ამ. შეერთებული შტატების პროდუქცია მილიონ დოლარებში:

**ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პროდუქცია მილიონ დოლარებში:**

(Статистически спровочник по економической географи СССР. и других госАдарств. ВольФа и Мебиуса).

| | 1900 წ. | 1904 წ. | 1909 წ. | 1914 წ. | 1919 წ. | 1921 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო პროდუქციის ღირებ. (აბს.) . . | 11.411 | 14.802 | 20.672 | 24.246 | 62.418 | 43.653 |
| %%-ში . . . . . . . . . . . | 100,0 | 129,7 | 181,2 | 212,5 | 546,8 | 382,5 |

შეერთებული შტატების მრეწველობა უძლიერეს ზრდას იძლევა ომის დროს—1914—1919 წლებში, ხოლო 1919 წლიდან 1921 წლამდე იძლევა საგრძნობ დაცემას; თუ ჩვენ ავიღებთ შედარებით ნორმალურ პერიოდს მრეწველობის განვითარებისას შეერთებულ შტატებში, ერთის მხრივ (1900—1909 წ.წ.) და მეორეს მხრივ მრეწველობის ძლიერი განვითარების ზრდის პერიოდის (1914—1919 წ.) და გამოვიანგარიშებთ საშუალო წლიური ზრდის პროც. (რთული პროცენტების ფორმულით A=a (1+2) ჩვენ მივიღებთ შემდეგს: 1900 წ.—1909 წ-დე ყოველწლიური ზრდის პროცენტი უდრის 7 პროც., ხოლო 1914—1919 წ. წ. — =20,8 პროც.

ძველ რუსეთში ყოველწლიური ზრდის პროცენტი უდრის 7,2 პროცენტს, (1900—1908 წწ.);

პროდუქცია უდრის — 1900 წ—2.048,4 ათას მან.

„ „ 1908 წ. 3.069,7 ათას მან.

(статист. спр. по эк. геогр. Вольфа и Мебиуса).

ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ზრდა, როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, ბევრად სჭარბობს ჩვეულებრივ წლიურ ზრდას, როგორც ჩ.-ამ. შეერთებულ შტატების, ისე ძველი რუსეთისას; კიდევ მეტი— უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდის პროცენტი სჭარბობს შეერთებულ შტატების პროდუქციის ზრდის პროცენტს მრეწველობის უჩვეულო განვითარების ხანაში. ჩვენში ზრდის პროცენტი 25 წ., 26—27 წ. უდრის 29,1 პროც., იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატებში 1904—1909 წ. უდრის 20,8 პროც. თუ შევადარებთ საქართველოს ცენზიანი მრეწველობის ზრდას ს. ს. ს. რ. შემავალ სხვა დიდ და პატარა რესპუბლიკების მრეწველობის პროდუქციის ზრდას ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

**პროდუქცია მილ. ჩერ. მანეთებში**

| რესპუბლიკები | 24—25 წ. | 25—26 წ. | 26—27 წ. | %%-ში 24—25 წ-თან | | საშუალო წლიური ზრდის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 25—26 წ. | 26—27 წ. | |
| რ. ს. ს. ფ. რ. (რუსეთი) . . . . . . . . . . . . | 5.021,7 | 7.188,2 | 8.505,6 | 143,6 | 169,4 | 30,7 |
| უ. ს. ს. რ. (უკრაინა) . . . . . . . . . . . . . | 1.231,0 | 2.047,0 | 2.267,2 | 166,3 | 184,2 | 38,5 |
| აზერბეიდ. ს. ს. რ. (ათას ჩერვ. მან.) . . . . . . . | 228.874,1 | 268.175,0 | 332.461,9 | 117,2 | 145,3 | 20,6 |
| სომხეთის ს. ს. რ. (ათას ჩევ. მან.) . . . . . . . | 9.484,9 | 11.989,4 | 14.425,0 | 126,4 | 152,1 | 23.3 |

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ საშუალო წლიური ზრდა რ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობისა უდრის 30,7 პროც., ე. ი: უმნიშვნელოთ სჭარბობს ჩვენი მრეწველობის ზრდის (29,1), ხოლო ჩვენი მრეწველობა გაცილებით სწრაფათ იზრდება ყველა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უკრაინის გამოკლებით, რომლის მრეწველობის წლიური ზრდის პროცენტი უდრის 38,5 პროცენტს.

ეხლა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ მრეწველობის რომელი სოციალური ფორმა იზრდება უფრო ჩქარი ტემპით. ამის მაჩვენებელია შემდეგი ცხრილი: განსაზოგადოებული (სახელმწიფო და კოოპერატ.) მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს და ს. ს. რ. კავშირის ცენზიან მრეწველობაში (პროდუქციის მიხედვით).

| რესპუბლიკები | 24—25 წ. | 26—27 წ. |
|---|---|---|
| საქართველო . . . . . . . . . . . . | 96,3 | 98,0 |
| საბჭოთა კავშირი . . . . . . . . . . | 95,8 | 97,8 |

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში, ისე როგორც საკავშირო მსხვილ მრეწველობაში სოციალისტური სექტორი იზრდება უფრო ჩქარი ტემპით, ვინემ არა სოციალისტური სექტორი 24—25 წ. განსაზოგადოებული მრეწველობა შეადგენდა 96,3 პროც., ხოლო 26—27 წ. უკვე 98 პროც. —(ორივე წელში გამოკლებულია შავი ქვა); მაშასადამე ხვედრითი წონა სოციალისტური სექტორის საქართ. გაიზარდა 2 წლის განმავლობაში 1,7 პროცენტით, კავშირში კი 2 პროცენტით.

ზემო მოყვანილი ცნობები, აშკარა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში, ისე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა დიდ და პატარა რესპუბლიკებში, ხდება დიდის სიძლიერით ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. როგორ მოხდა, რომ 24—25 წლის შემდეგ, როდესაც ამოიწურა მრეწველობის არსებული ტეხნიკური შესაძლებლობა და ახალი ტეხნიკური ბაზის შესაქმნელად საბჭოთა ხელისუფლებას უნარი არ შესწავდა კ. კანდელაკის განცხადებით ჩვენ გვაქვს მრეწველობის დარგში ასეთი მიღწევები?

ამაზე შემდეგ.

ვლ. პაპავა.

# ადგილობრივი მრეწველობა

**II**

საბჭოთა კავშირში ადგილობრივი მრეწველობა თანდათან იზრდება და ძლიერდება. გასული წლიდან განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ის გარემოება, რომ საერთოთ მრეწველობის განვითარებას დეცენტრალისტური მიმართულება ემჩნევა. ეს რასაკვირველია, ადმინისტრატიული დამორჩილებისა და დამოკიდებულების მხრივ. ამ გარამოებას ჩვენ აღვნიშნავთ იმიტომ, რომ ის ავტომატიურათ დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე.

ჩვენს ხელთ არის ორი უკანასკნელი წლის საკავშირო ცნობები მრეწველობის განვითარების შესახებ, რომლებიც წლიური ანგარიშების მიხედვითაა შედგენილი. შედარებისათვის აღებულია აგრეთვე მიმდინარე 1927—28 სამეურნეო წელს საკონტროლო ციფრების მიხედვით, საერთო პროდუქციის დაპირისპირება აღნიშნულ წლებისა საინტერესო სურათს შლის.

საერთო პროდუქცია მილიონ მანეთებში.

| | 1925—26 წ. | 1926—27 წ. | 1927—28 წ. |
|---|---|---|---|
| საკავშირო მრეწველობის | 4.286,6 | 4.969,4 | 5.939,4. |
| რესპუბლიკანლური მრეწ. | 805,0 | 974,9 | 1.161,0 |
| ადგილობრივი მრეწველ. | 2.095,8 | 2,643,4 | 3,479.4 |
| სულ | 7.187,4 | 8,587,7 | 10.579,8 |

აბსოლიუტურათ 1926—27 წელი წინა წელთან შედარებით 1.400.3 მილ. მანეთით ზრდას გვიჩვენებს, ხოლო 1927—28 წ. 1926—27 წელთან შედარებით (საკონტროლო ციფრების მიხედვით) 1,992,1 მილ. მანეთით. თუ ამ დამოკიდებულებას პროცენტებში გამოვხატავთ, მივიღებთ პროც. წინა წელთან შედარებით:

| | 1926—27წ. | 1927—28 წ. |
|---|---|---|
| საკავშირო მრეწველობა | 115,9 | 119,5. |
| რესპუბლიკანური | 121,1 | 119.0 |
| ადგილობრივი | 126,1. | 131,1 |
| სულ საშუალოდ | 119.5 | 128,1 |

ორი წლის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა უდრის 47,2 პროც.

მოყვანილი ცხრილისადმი უბრალო დაკვირვება აშკარავებს, რომ აბსოლიუტურათ სამთავე მთავარი დარგები ზრდისა და წარმატების პროცესში იმყოფება, მაგრამ განვითარების ტემპი ადგილობრივი მრეწველობისა უფრო ჩქარია, ვიდრე პირველ ორი დარგის, რის გამო ხვედრითი წონაში წლიდან წლობით გადაჯგუფება ხდება.

ეს მოვლენა ციფრებში შემდეგ გამოხატულებას პოულობს:

| ხვედრითი წონა | 1925—26 წ. | 1926—27 წ. | 1927-28 წ. |
|---|---|---|---|
| საკავშირო მრეწველობის | 59,7 | 57,8 | 56,2. |
| რესპუბლიკანური მრეწ. | 11,2 | 11,4 | 11,0 |
| ადგილობრივი მრეწ. | 29,1. | 30,8. | 32,8. |
| სულ | 100,0 | 100,0 | 100,0 |

მაშინ, როდესაც საკავშირო რესპუბლიკანური მნიშვნელობის (ადმინისტრატიული დამორჩილება უნდა მივიღოთ მხედველობაში) მრეწველობის ხვედრითი წონა დაკლების პროცესში იმყოფება, ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა განუწყვეტლივ ზრდას განიცდის, რაც მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით 3,7 პროცენტში გამოიხატება 1925—26 წელთან შედარებით.—აქედან აშკარათ გამომდინარეობს ის ტენდენცია, რომელზედაც ჩვენ ზევით მივუთითეთ. სახელდობრ, დეცენტრალისტური მიდრეკილება.

როგორი მდგომარეობაა ჩვენში?

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ჩვენში ადგილობრივ მრეწველობას მოკლე ისტორია აქვს. მისი, ასე ვთქვათ, ნორმალურ წელათ გასული 1926—27 წელი უნდა ჩაითვალოს. ჩვენ როდესაც ვამბობთ ნორმალურ წელს, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ დროიდან ადგილობრივ მრეწველობას ეძლევა მისი განვითარების გეზი და ხაზი, ეს თარიღი იქმნება საფუძვლათ, რომელზედაც ნორმალური ტემპით უნდა აშენდეს მომავალი პერსპექტივები.

77 სამრეწველო დაწესებულებიდან გასული 1926—27 წლის განმავლობაში მუშაობდა 76 წარმოება. მთელ მრეწველობას დაუმუშავებია წლის განმავლობაში 4,7 მილ. მანეთის საქონელი. ეს ჯამი შემდეგნაირათ განაწილებულა სხვადასხვა დარგებზე:

| | დაუმუშავებია: |
|---|---|
| 1. ხის სახერხ ქარხნებს | 1,022 ათასი მან. |
| 2. აგურხანებს | 1.037 ათასი მან. |
| კირის საწვავ ქარხნებს | 222 ათასი მან. |
| 4. ლითონის და ელექტროტეხნიკ. წარმ. | 906 ათასი მ. |
| . ხის გადამმუშავებელ წარმ. | 33,8 ათასი მან. |
| 6. ტყავის წარმ. | 57,0 ათასი მან. |
| 7. სტამბებს | 184 ათასი მან. |
| 8. სასურსათო წარმ. | 1,274,3 ათასი მან. |
| 9. საპნის წარმ. | 6,6 ათასი მ. |
| სულ | 4,742,7 ათასი მ. |

ვინაიდან წინა წლების ცნობები დამუშავებული არ არის, აგრეთვე ისიც, რაც აქა-იქ მოიპოვება, ვერ იძლევა საკითხის სათანადო გაშუქებას, ჩვენ ვფიქრობთ, დავკმაყოფილდეთ მარტო ერთი გასული წლის ცნობებით და ისინი დაუპირდაპიროთ სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ დარგებს.

საანგარიშო წელში საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქცია უდრიდა 54,082,7 ათას მანეთს, თუ ამ ჯამიდან გამოვალთ, მაშინ ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა იქნება 8,7 პროც., ხოლო თუ მარტო სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებას ავიღებთ, მაშინ სურათი ადგილობრივი მრეწველობის სასარგებლოთ შეიცვლება. სახელმწიფო მრეწველობას 45,551,8 ათასი მან. საქონელი დაუმუშავებია, რომელშიც ადგილობრივი მრეწველობის 4,7 მილ. მანეთიც შედის. აქედან სახელმწიფო მრეწველობასთან შედარებით ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა 10,37 პროც უდრის.

ცალკე დარგების შედარება მეტად დამახასიათებელ სურათს იძლევა. ასე, მაგალითად, ხის სახერხი ქარხნების პროდუქცია საქართველოში 1926—27 წელში უდრიდა 4,8 მილ. მანეთს. აქედან სახელმწიფოს 4,7 მილ. მან., ამ ჯამში შედიოდა 1,022 ათასი მან., რის ეკვივალენტი ადგილობრივმა მრეწველობამ დაამუშავა. ამ ციფრების შედარება შემდეგს დამახასიათებელ მოვლენას გვიხატავს: **ადგილობრივი მრეწველობის ხის სახერხ ქარხნებს 1926—27 წელში მთელი დახერხილი მასალის 21,6 პროც. დაუმუშავებია.** ეს ჯამი იმდენათ საგრძნობი და ყურადსაღებია, რომ საჭიროებს უფრო ფართო დაკვირვებას და ანალიზს. ასეთი ხვედრითი წონა ქმნის როგორც მოვალეობებს, ისე უფლებებს, მაგრამ ამაზედ შემდეგ, ცალკე დარგების დახასიათების დროს.

აგურ-კრამიტის დამზადება ერთბაშათ ადგილობრივი მრეწველობის საქმეს შეადგენს. ოფიციალური სტატისტიკა მთლიან პროდუქციას 1926—27 წელში — 1.018,6 ათას მან. ანგარიშობს. ეს ცნობა ჩვენ ძლიერ შემოკლებულათ მიგვაჩნია. ს. მ. უ. ს. მიერ სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, მარტო ადგილობრივი მრეწველობის აგურხანებს დაუმუშავებია 1.037 ათასი მან. საქონელი. თუ ამას დაუმატებთ კერძო აგურხანას, ცხადია, რომ მოცემული ჯამი მეტად მცირე იქნება. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი მრეწველობის როლი ამ დარგში გადამწყვეტია.

ასეთივე მდგომარეობაა კირის საწვავ დარგშიც აქედან ცხადია, რომ სამშენებლო საქმის სამი მთავარი მასალაა აგური, კრამიტი და კირი, **ერთბაშათ ადგილობრივი მრეწველობის განმგებლობაშია, ხოლო ხის მასალა კი 21,6 პროცენტით.**

სასურსათო მრეწველობის დამუშავება 1926—27 წელში საქართველოში უდრიდა 15,121 ათას მან., აქედან 10,980 ათასი მანეთის სახელმწიფო მრეწველობის მიერ იქნა დამუშავებული. ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა უდრის 11,6 პროც. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მრეწველობას ეკუთვნის მხოლოდ ორიოდე დარგი. მათ შორის უმთავრესია საკონსერვო წარმოება და ხილის სახმობი ქარხანა: მარტო ეს ორი დარგი იძლევა 244.7 ათასი მან. პროდუქციას. კარაქის და ყველის ფერმები, რომელთა პროდუქცია 158.4 მან. უდრის. ორთავე აღნიშნული საწარმოები მხოლოდ ადგილობრივი მრეწველობის გამგებლობაშია. მათი ხვედრითი წონა უდრის 100 პროც. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი წარმოება, მისი აწმყო და მომავალი ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გზებით უნდა წავიდეს...

**ი. ნარსია.**

# ალორძინების გზით

## (თბილისის მუშკოოპის საქმიანობა)

კოოპერაცია ერთ-ერთი გზაა სოციალიზმის განსახორციელებლად, ის საუკეთესო საშუალებაა მშრომელი მასების აღსაზრდელად, მათში სოციალისტური იდეების განმტკიცების საქმეში, კოოპერაცია იცავს მშრომელ მომხმარებელს კერძო ჩარჩ-ვაჭრების მრჭყალებისაგან და რეალურად ზრდის მის ბიუჯეტს.

ეს გარემოება კარგათ აქვს გათვალისწინებული საბჭოთა ხელისუფლებას და სწორედ ამიტომ არის, რომ ის

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოოპერაციის განვითარებას, მის გამაგრებას და გაჯანსაღებას.

არცერთ ქვეყანაში კოოპერაციას არა აქვს ისეთი სამუშაო პირობები შექმნილი, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს ასეც უნდა იყოს, ამაში მოულოდნელი და გასაკვირი არაფერია. სოციალისტური მთავრობა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში სოციალისტური წყობილების დამკვიდრება, ბუნებრივია, რომ კოოპერაციის განვითარებისთვის ზრუნავს, მაგრამ იბადება საკითხი, ასეთი მზრუნველობა აღწევს თუ არა თავის პირდაპირ მიზანს, მართლა ვითარდება ჩვენში კოოპერაცია, თუ ის ისევ ისეთ მდგომარეობაშია, როგორც საბჭოთა წყობილების დამკვიდრებამდე იყო?

თუ საზღვარ-გარეთ გადახვეწილი ქართული ემიგრაციის ლიდერებს დაუჯერებთ, მათი სიტყვით საბჭოთა საქართველოს იღუპება. აქ ჩაკლულია ყოველგვარი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარი, ყოველწლიურად უკან იწევს როგორც მრეწველობა და სასოფლო -მეურნეობა, ისე ვაჭრობა და ალებ-მიცემობა, მაგრამ ეს მათი „მტკიცება“ რომ სრულ სიყალბეზეა აგებული, ამის დანახვა და გათვალისწინება დღეს ყველას ადვილად შეუძლია, თუ ის განგებ არ იბრმავებს თვალებს.

თუ რამდენად ფართო გასაქანი აქვს საბჭოთა რესპუბლიკებში თვითმოქმედებას, ამის საუცხოვო მაგალითს სხვათა შორის კოოპერაცია წარმოადგენს. კოოპერატივები სწორედ ისეთი ორგანიზაციებია, სადაც ყველაზე უფრო საჭირო თვითმოქმედების გამოჩენა, უამისოდ კოოპერაცია დაკარგავს თავის მიზანს და ის ვერავითარი სახელმწიფოებრივი დახმარებით ვერ აღორძინდება.

როგორია ამ მხრივ საქართველოში მომქმედ კოოპერატივების მდგომარეობა, ვითარდებიან ისინი მასების აქტივობით და თვითმოქმედებით, თუ ერთ წერტილზე არიან გაყინულნი?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მომქმედი ყველა სახის კოოპერატივები სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ. ერთად-ერთ გამონაკლისს დღემდის ამ მხრივ წარმოადგენდა სასოფლო- სამეურნეო კოოპერაცია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მისი მდგომარეობაც მტკიცე ნიადაგზე სდგება.

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს მოკლედ შევეხოთ თბილისის მუშკოოპის საქმიანობას მის რწმუნებულთა წლიურ კრებასთან დაკავშირებით.

24 მარტს გაიხსნა მუშკოოპის რწმუნებულთა წლიური მეთორმეტე კრება, რომელმაც მოისმინა გამგეობის მოხსენება 1926—27 საოპერაციო წელში მუშკოოპის საქმიანობა-მოღვაწეობის შესახებ. ამასთან ერთად მუშკოოპის გამგეობამ გამოსცა კედლის გაზეთი, რომელშიაც მოკლედ არის ჩამოთვლილი იმის ანგარიში, თუ რა გააკეთა მუშკოოპის გამგეობამ საანგარიშო ხნის განმავლობაში, რა მიღწევები აქვს თბილისის მუშკოოპს და რა უშლიდა ხელს ამ მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებას.

გამოცემულ ანგარიშში გამგეობა აღნიშნავს, რომ „1926—27 წელს მუშკოოპის პირობები, არსებითად სულ სხვა იყო, ვიდრე წინა წელს. კრედიტები ბანკიდან, რომლის დახმარებითაც კოოპერაცია ეწევა ვაჭრობას, ძალიან იყო შემცირებული, პირობები, რომლებითაც აძლევდენ ნისიათ საქონელს მუშკოოპს, შესამჩნევად იყო გაუარესებული“.

ეს გარემოება, როგორც გამგეობაც აღნიშნავს, მით იყო გამოწვეული, რომ თავისუფალი თანხები უფრო მეტის რაოდენობით მოხმარებოდა მრეწველობის აღორძინებას. მიუხედავად ასეთი დამაბრკოლებელი პირობებისა, მუშკოოპის გამგეობამ მაინც შესძლო დასახულ გეგმის სავსებით განხორციელება.

რა მიღწევები აქვს მუშკოოპის გამგეობას საანგარიშო ხნის განმავლობაში? ამის ნათელ სურათს იძლევა გამოცემული ანგარიში. აქედან ჩვენ შევეხებით მხოლოდ უმთავრეს მიღწევებს. პირველი რიგში აღსანიშნავია სავაჭრო ქსელის გაფართოება. მაღაზიებისა და დუქნების რაოდენობა გაზრდილა 183-დან—336-მდე, ხოლო მოძრავ სავაჭრო ერთეულების 51-დან—152-მდე. მუშკოოპის წევრთა რიცხვი მიმდინარე წლის პირველი იანვრისთვის უდრიდა 32.030-ს. საპაიო თანხა 1926 წ. შეადგენდა 68.207 მანეთს, 1926—27 წელში გაიზრადა 137.770 მანეთამდე, ხოლო მიმდინარე წლის პირველ იანვრისთვის ავიდა 208.955 მანეთამდე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე საქონლის გასაღების ზრდა, რაც საანგარიშო ხნის განმავლობაში უახლოვდება 19 ნახევარ მილიონ მანეთს და მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება გასული წლის პირველი ოქტომბრისათვის მუშკოოპის თანხების საერთო ჯამი შეადგენდა 5.264.200 მან., ამში საკუთარი თანხები უდრის 1.251.900 მანეთს. რაც შეეხება მიმდინარე წლის სამეურნეო მუშაობის გეგმას, გამგეობას გათვალისწინებული აქვს შეიძინოს 22.300 ათასი მანეთის საქონელი და გაყიდოს 26.700 ათასი მანეთის.

ამ მოკლე ცნობებიდანაც ნათლად სჩანს, რომ თბილისის მუშკოოპის მიღწევები უსათუოდ დიდია. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა შემდეგშიაც მისი საქმიანობა, რაშიაც ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, თბილისის მუშკოოპი ადვილად შესძლებს თბილისის მშრომელი მოსახლეობის სრულ უზრუნველყოფას სურსათ- სანოვაგითა და საწარმოო პროდუქტებით და ადვილად განდევნის კერძო ვაჭრობას თბილისის ბაზრიდან, რის ტენდენცია ამჟამადაც დიდია.

ამ მიღწევებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს მუშკოოპის გამგეობის ნაწილობრივ სუსტი მხარეებიც, რომელიც უმთავრესად მდგომარეობას წევრთა რიცხვის სიმცირესა და საპაიო თანხების სუსტად აკრებაში. გამოქვეყნებულ ანგარიშის მიხედვით, თბილისის მუშკოოპის წევრთა რიცხვი 32.030 შეადგენდა პირველი იანვრისათვის, რაც უდრის პროფკავშირებში გაერთიანებულ წევრთა დაახლოვებით 60 პროცენტს. ეს უსათუოდ მცირე პროცენტია.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ პროფკავშირის არცერთი წევრი არ დარჩეს კოოპერაციის გარეშე. მართალია ამ მუშაობის შესრულებას მარტო მუშკოოპის გამგეობას ვერ დავაკისრებთ, ამ მუშაობაში ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული პროფკავშირების გამგეობები, ფაბ-ქარხკომები და პირველ რიგში სადუქნო კომისიის წევრები. მათ მთელი თავისი ენერგია უნდა მოახმარონ პროფკავშირის წევრთა მიზიდვას კოოპერაციაში, მაგრამ, ამასთან ერთად გამგეობამაც მეტი უნარი უნდა გამოიჩინოს წევრთა რიცხვის გამრავლებაში.

უნდა შევეხოთ აგრეთვე საპაიო ანარიცხების აკრების საქმესაც. მართალია ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი მიღწევებია, მაგრამ ეს მიღწევები დამაკმაყოფილებელი ჯერ კიდევ ვერ არის. მაგალითად გასული წლის პირველ ოქტომბრისათვის ათ მანეთიანი პაი გადახდილი ჰქონდა 3.164 წევრს, 5 მანეთზე მეტი—4.061 წევრს, სრული ხუთი მანეთი—9.271 წევრს, ხოლო 5 მანეთზე ნაკლები 7.566 წევრს. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ათი მანეთი ჰქონდა გადახდილი—7.798 წევრს, 5 მანეთზე მეტი—5.637-ს, სრული 5 მანეთი—7.835-ს, ხოლო 5 მანეთზე ნაკლები 10.760 წევრს.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სრული პაი, ესე იგი 10 მანეთი მხოლოდ 7.798 წევრს აქვს შემოტანილი 32.030 წევრიდან, რაც უსათუოდ მცირეა. დღეს საპაიო ანარიცხები გადიდებულია 15 მანეთამდე, რომლის შესაკრებად ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული და ასეთ დროს დიდძალი დავალიანება არის ასაკრები წევრებიდან 10 მანეთიან პაის ანგარიშში. ათ მანეთიანი პაიდან 32.030 წევრზე ირიცხება დავალიანება 111.345 მანეთი, რომლის აკრება საგრძნობლად გაამაგრებდა მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობას. თუ ამას დაუმატებთ წევრებიდან დამატებითი საპაიო 5 მანეთის შეკრებას, მივიღებთ 160.150 მანეთს. ამრიგად რეგისტრაციაში პირველ იანვრამდე გატარებულ წევრებიდან შესაკრებია სულ —271.495 მანეთი, რომლის აკრეფა უკვე შეკრებილთან ერთად ნახევარ

მილიონამდე მანეთს მოგვცემს საპაიო თანხების ანგარიში.

თბილისის მუშკოოპის გამგეობის მთავარი ყურადღება მიმდინარე საოპერაციო წელში სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნეს მიქცეული.

სავაჭრო ქსელის შემდგომი გაფართოების დროს მუშკოოპის გამგეობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს განაპირა უბნების დაკმაყოფილებას. მართალია, ასეთ უბნებში ყველგან სათანადოთ ვერ ივაჭრებს დიდი სავაჭროები, მაგრამ ასეთ ადგილებში უნდა გაიხსნას პატარა სავაჭროები, უმთავრესად კი სურსათ -სანოვაგის.

უფრო გეგმაშეწონილად უნდა იწარმოოს მომავალში აგრეთვე გრძელვადიან კრედიტების გაცემამ. გასულ წელში მუშკოოპის გამგეობამ ეს მუშაობა ვერ ჩაატარა სასურველად, დიდძალი მუშა-მოსამსახურენი დარჩა დაუკმაყოფილებელი, რამაც უკმაყოფილება შექმნა მუშკოოპის წევრთა შორის.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე წევრთა შორის კოოპერატიულად აღზრდის საქმეს და აგიტაციაპროპაგანდას, რომ მუშკოოპის თვითეულმა წევრმა ყოველგვარი საქონელი შეიძინოს მუშკოოპის სავაჭროებიდან, რითაც ისედაც სუსტ კერძო ვაჭრობას საბოლოოდ მოეღება ბოლო.

ამას გარდა არის კიდევ სხვა წვრილმანი დეფექტებიც, რომლის თვითეულად ჩამოთვლა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. ამ წვრილმანი დეფექტების აღმოსაფხვრელად თვით გამგეობა იღებს გადამჭრელ ზომებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში თბილისის მუშკოოპის საქმიანობა დამაკმაყოფილებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მას ჰქონდა მუშაობის უფრო მძიმე პირობები. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ საქართველოში კოოპერაციას მტკიცე ნიადაგი აქვს და ის თანდათანობით ხდება ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად ჩვენი საშინაო ვაჭრობის საქმეში.

თვითეული მშრომელის მოვალეობაა კოოპერაციის წინსვლას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი და დაეხმაროს მას კოოპერატიული ამოცანების განხორციელებაში.

**მუშკოოპის წევრი.**

**გიორგი ქუჩიშვილი**

# სტუდენტების სიმღერა

**(მ. ბალანჩივაძის მუსიკით)**

ჩვენ, ყველა კუთხის
ხალხის შვილები,
მოვსულვართ, სიბრძნეს
რომ დავეწაფოთ,
და მაღალ ცოდნით
აღჭურვილები,
ხალხს წინ წარვუძღვეთ,
გზა გავუკაფოთ.
ვფიცავთ ჩვენს მზრუნველთ,
ჩვენს პროფესორებს,
რომ გადავლახავთ
ყოველ სიძნელეს,
და მშრომელ მასებს
ჩამოვაშორებთ
ცრუ-აზროვნების
უხეშ სიბნელეს.

ვფიცავთ, რომ
ნათელ ჩირაღდნით ხელში
ჩვენ შევასრულებთ
ჩვენს ამოცანას:
მოვეფინებით
ყოველ სოფელში
და ავაყვავებთ
შრომის ქვეყანას.
თუ არ გვაცლიან
მტერთა ჯარები,
და თუ ქვეყანას
დასჭირდა შველა,—
როგორც პარიზის
კომუნარები,
ბარიკადებზე
გავწყდებით ყველა.

# მიღწევები კულტურულ ფრონტზე

ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სახალხო განათლებას თვითეული სახელმწიფოსათვის და კერძოდ ისეთ ქვეყნისათვის, რომელიც აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას, სადაც ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, სადაც გაბატონებულია პროლეტარიატის დიქტატურა, ეს კარგად ესმის საბჭოთა მთავრობას და მიტომ არის, რომ ის თავისი ბიუჯეტის ორ მესამედ ნაწილს ხარჯავს სახალხო განათლების საქმისათვის.

ჩვენში, საქართველოში განსაკუთრებულ პირობებში იყო სწავლა- აღზრდის საქმე; მეფის დროის ჩვენი „ქირისუფლები“ ნაკლებად ზრუნავდენ „ტუზემცების“ განვითარებისათვის, ვინაიდან მათ კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ შეუგნებელ, ბნელ მასების დამონება, მათ კისერზე მონობის უღლის დადგმა უფრო ადვილ საქმეს წარმოადგენდა, ვინემ შეგნებულ ხალხთა მასებში თავისი ბნელი საქმეების მოგვარება.

ჩვენი სკოლა პოლიტიკანობის იარაღს წარმოადგენდა რომლითაც მახინჯდებოდა ჩვენი მოზარდი თაობა და იბღალებოდა ეროვნული მეობა.

ასეთი მდგომარეობა იყო ძველად, მაგრამ მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერც მენშევიკების დროს გამოკეთდა საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე. იგივე გაფხეკილი სკოლა, რომელიც დაშორებული იყო ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან და იგივე უილაჯო მასწავლებლობა. სასკოლო საქმეს არც მაშინ დაეტყო სათანადო გამოცოცხლება, ნიშნებიც ცოტა იყო მის გამოსაჯანსაღებლად.

საბჭოთა მთავრობამ კი პირველ წელიწადსავე დაკვრითი ამოცანათ აღიარა სწავლა-განათლების საქმე: ძირითადათ შეიცვალა სასკოლო სისტემა, ის საფსებით დაუკავშირდა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეს და მის მოთხოვნილებებს, საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა ტიპის სკოლების რიცხვი, გაიზარდა აგრეთვე არსებულ კულტურულ დაწესებულებათა ნაყოფიერება, დაარსდა სხვადასხვა სამეცნიერო და საკულტურო დაწესებულებანი, გარდიქმნა ჩვენი უმაღლესი სკოლა, რომელიც დღეს ისე გაიზარდა, რომ წარმოადგენს ჩვენი მეცნიერების ნამდვილ კერას.

მაგრამ არსებული მდგომარეობით მაინც არ კმაყოფილდება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება; მას მიზნად აქვს დასახული ბოლომდე და თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიიყვანოს სწავლა- განათლების საქმე საქართველოში. მიუხედავათ ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა საბჭოთა მთავრობა არ ზოგავს ამ დიდი საქმისთვის არავითარ საშუალებებს. ამ მიზნით განათლების კომისარიატმა საბოლოოდ შეიმუშავა საპერსპექტივო გეგმა, რომელიც მიიღო და ერთხმად დაადას-

ტურა სამაზრო განათლების განყოფილებათა გამგეების თათბირმა.

როგორია ეს გეგმა, ან რა მიზანს ისახავს?

უპირველესად ყოვლისა განათლების კომისარიატის მიზანია სასოფლო- სამეურნეო ცოდნის გაძლიერება, სამეურნეო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, რაც აუცილებელ საჭიროებად უნდა იქნას აღიარებული მეურნეობის ისეთ ქვეყანაში, როგორისაც წარმოადგენს საქართველო.

რა დასამალავია, რომ ჩვენი გლეხობის დიდი უმეტესობა დღესაც პრიმიტიული საშუალებებით აწარმოებს სამეურნეო მუშაობას; თითო- ოროლა ტრაქტორმა ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაამარცხა ჩვენს სასოფლო მეურნეობის მუშაობაში გაბატონებული კავი-სახნისი და გუთანი, რომელიც მოითხოვს მეტ შრომას და იძლევა ნაკლებ ნაყოფიერებას. გარდა ამისა გლეხობას გვერდში არ უდგას სამეურნეო საქმის ისეთი მცოდნე, რომელიც გაუადვილებდა და გაუნაყოფიერებდა მას სასოფლო- სამეურნეო საქმიანობას. მაზრებში არსებული თითო-ოროლა აგრონომიული პუნქტები კი ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებენ ამ მხრივ ადგილობრივ მოთხოვნილებებს; ეს იმიტომ რომ ერთი აგრონომიული პუნქტი თვითეულ მაზრაში, ზღვაში წვეთად უნდა ჩაითვალოს და გარდა ამისა ამ პუნქტების გამგე ზოგიერთ აგრონომებსაც არ ყოფნისთ მიზნის მისაღწევად ცოდნა გამოცდილება. რაც შეეხება მასიურ კულტურულ მეურნეობის წარმოებას, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამისათვის დროულათ და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმად უნდა დაარსდეს ახალციხეში საბაღოსნო სკოლა, ახალ-ქალაქში კი დაარსებულ იქნება ჯიშიან ცხოველების მოსაშენებლად სპეციალური სკოლა, ოზურგეთში დაარსდება სკოლა ჩაის კულტურის განვითარებისათვის საჭირო ცოდნის შესაძენად; თელავის მაზრაში —სატყეო სკოლა, სამტრედიაში— ფრინველების მოვლა-მოშენების სკოლა და ასე სხვა მაზრებშიაც დაარსებული იქნება სპეციალური სკოლები იმის მიხედვით, თუ მეურნეობის რომელი დარგის განვითარებაა შესაძლებელი და საჭირო ადგილობრივ.

გარდა ამისა განათლების კომისარიატს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ჩვენი ნორჩ მრეწველობისათვის, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ჩვენი მრეწველობა საჭიროებს ახალ ტეხნიკურ ძალებს, რომლითაც ჩვენ დღესაც კი, როცა ჯერ სანახევროდაც არ არის ჩვენი მრეწველობა განვითარებული, ღარიბი ვართ. არ გვყავს ტეხნიკოსთა საჭირო კადრი. ჩვენი ქვეყნის უხვი მრეწველობისათვის საჭირო სიმდიდრენი, ნედლი მასალა კი აუცილებლად საჭიროებს ტეხნიკურ ძალთა განვითარებას.დღემდე არსებული მცირე რიცხოვანი ტეხნიკური სკოლები კი ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. ამისათვის, გეგმის მიხედვით, საალმშენებლო, საფეიქრო და საქიმიო სამრეწველო საქმის გასავითარებლად განზრახულია სპეციალურ საალმშენებლო ტეხნიკუმების დაარსება. პირველ რიგში ერთი ასეთი ტეხნიკუმი დაარსებული იქნება ქუთაისში. გარდა ამისა, საფეიქრო მრეწველობის განვითარების მიზნით, ქ. თბილისში და ქუთაისში დაარსებული იქნება უმაღლესი ტიპის საფეიქრო სკოლა. განზრახულია აგრეთვე ერთი სამთო-მადნო ტეხნიკუმის დაარსება ტყიბულში, რომელიც მოამზადებს საშუალო კვალიფიციურ ძალებს. ქუთაისში დაარსდება აგრეთვე მექანიკური ტეხნიკუმი საელექტრო- სამანტიორო საქმის შესასწავლად. ძირულაში გაიხსნება კერამიკული სკოლა, რომელიც შეასწავლის ადგილობრივ გლეხობას ჭურჭლეულობის დამზადებას, რომელსაც ეხლა გლეხობა აწარმოებს კუსტარული საშუალებით. დაარსდება აგრეთვე სპეციალური სკოლები საავტომობილო, სატრანსპორტო და მანქანების საქმის შესასწავლად და გასავრცელებლად.

გარდა ამისა ვინ არ იცის, თუ როგორ უნუგეშო მდგომარეობაში იყო ჩვენში საგზაო მშენებლობის საქმე. ადგილობრივი გლეხობის ცოდნა საგზაო მშენებლობის საქმეში მეტად სუსტი გამოდგა. ამ საქმესაც უთუოდ სჭირია ნამდვილი ოსტატები, სპეციალური, საგზაო მშენებლობის საქმის მცოდნე ტეხნიკოსები. ამ მიზნით განზრახულია უმაღლესი ტიპის საგზაო- საალმშენებლო სკოლების დაარსება.

შემუშავებულ გეგმაში პირველი ადგილი უჭირავს საყოველთაო და სავალდებულო სწავლის შემოღებას. ეს დიდი საქმე საჭიროებს მასთან დაკავშირებული თვითეული საკითხის ყოველმხრივ შესწავლას, რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს. მაგრამ განათლების კომისარიატს ეს საქმე სანახევროდ მაინც მოუგვარებია. საყოველთაო სწავლის შემოღების პროექტი უკვე მოიწონა და დაამტკიცა სახელმწიფოს საგეგმო კომისიამ.

გეგმის თანახმად გაიხსნება სულ 322 ახალი სკოლა 1517 ჯგუფით. საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოსაღებად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს შვიდი წლის განმავლობაში. მუშაობა დაიწყება მიმდინარე წლიდან.

1928 —29 წელს მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდება ქ. თბილისში, ოზურგეთის მაზრაში და ფოთის რაიონში, 1929—30 წელს— ბათომში, ხაშურში, ქუთაისში და სოხუმში; 1930—31 წელს კი: სენაკის, რაჭის და ზუგდიდის მაზრებში, 1931—32 წელს ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის და თბილისის მაზრებში; 1932—33 წელს—თელავის, გორის და სიღნაღის მაზრაში; 1934—35 წელს ახალქალაქის, ბორჩალოს, დუშეთისა და ახალციხის მაზრებში; 1936—37 წელს—ზემო სვანეთში, ხევსურეთში და დუშეთში. ასეთივე გადამჭრელი ზომები იქნება მიღებული ავტონომიურ რესპუბლიკებშიაც საყოველთაო სწავლის შემოსაღებლად. ასე, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ისეთი საიდეალო საქმის მოგვარება, როგორიცაა საყოველთაო და სავალდებულო სწავლების განხორციელება.

ეს საკითხი ეკონომიურად ჩვენზე უფრო ძლიერ ქვეყნებშიაც კი ჯერაც საოცნებო საგანს შეადგენს.

ეხლა ორიოდე სიტყვა მასწავლებელთა კადრისა და მისი კვალიფიკაციის შესახებ.

ცხადია, როგორიც არ უნდა იყოს სასკოლო სისტემა, სწავლა- აღზრდის პრინციპები, ის მაინც ვერ მიაღწევს მიზანს, თუ მისი ცხოვრებაში გამტარებელი, ცოცხალი ძალა, ამ საქმის ნამდვილი ოსტატი—მასწავლებელი არ იქნა ამ საქმისათვის შესაფერისად მომზადებული.

მასწავლებელი სკოლის სული და გულია, ის არის სწავლა- აღზრდის მთავარი მომამძრავებელი ძალა, მისგან არის დამოკიდებული ჩვენი სკოლისა და მომავალი თაობის ბედი, და უნდა გულახდილად ითქვას, რომ ჩვენ არ გვყავს სათანადოთ მომზადებული საჭირო მასწავლებელთა კადრი. მათი პედაგოგიური ცოდნის დონე მეტად ღარიბია, ბევრს მათგანს ოფიციალურადაც კი არა აქვთ მასწავლებლის ცენზი. ცხადია ასეთ მასწავლებლების ხელში ყოველი სალი, პედაგოგიური პრინციპი დამახინჯდება და სავალალო იქნება ასეთი უმეცარ აღმზრდელთა ხელში მოზარდ თაობის ბედი.

ჩვენში წინათ არც ამ საქმეს აქცევდენ სათანადო ყურადღებას. არსებული ორათ-ორი სამოსწავლო სემინარია აბა როგორ შესძლებდა ამ მხრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამისათვის სკოლის ბედს ხშირად აბარებდენ ისეთ მასწავლებლებს, რომელსაც თითონვე სჭირდებოდა ელემენტარულ ცოდნის შეძენა. სამწუხაროდ ეხლანდელი მდგომარეობაც არ არის ამ მხრივ სახარბიელო; ეხლა ხშირად ვართ იძულებული ნამდვილ, მასწავლებელთა კადრის უყოლობის გამო, სკოლის ბედი ჩავაბაროთ ნადიაკვნარ თუ ნალვდლარ „მასწავლებებს“, და თუ როგორ გაუძლვება ეს ხალხი თანამედროვე პირობებისათვის საჭირო სწავლა- აღზრდის საქმეს ეს ყველასათვის ცხადია.

ასეთი მასწავლებლები, რა თქმა უნდა თვითონაც კარგად გრძნობენ თავიანთ სისუსტეს, მაგრამ მაინც ბედავენ „მუშაობის“ გაგრძნობას და თუ ვინმემ გაბედა და

ასეთი „მასწავლებელი“ შემცირებაში მოაყოლა, ის ქვეყანას ამცნობს, რომ მას მოეპყრენ უსამართლოდ.

მაგრამ ჩვენი მომავალი თაობის ინტერესები მოითხოვს არ გაუწიოთ ანგარიში ასეთ უკმაყოფილებას, უნდა ვიყოთ ამ შემთხვევაში ულმობელნი და ერთხელ და სამუდამოთ უნდა გავანთავისუფლოდ ასეთი „აღმზრდელებისაგან“ ჩვენი ნორჩი თაობა.

ამ სიმახინჯის წინაალმდეგ საბრძოლველად საჭიროა ორი რამ: —პედაგოგიურ ტეხნიკუმების რიცხვისა და მასწავლებელთა ხელფასის გადიდება.

ეს გარემოება განათლების კომისარიატის საპერსპექტივო გეგმაშიაც არის გათვალისწინებული. გეგმის თანახმად გაფართოებულ უნდა იქნეს სამოსწავლო ტეხნიკუმებისა და პედაგოგიურ განხრის ქსელი. მარამ საჭიროა განათლების კომისარიატი ეხლავე შეუდგეს ამ საქმის განხორციელებას. ეს საქმე გადადებას ვერ ითმენს, ვინაიდან ჩვენი თანამედროვე სკოლა გადაჭრით მოითხოვს ზოგიერთი „აღმზრდელებისაგან“ განთავისუფლებას.

რაც შეეხება მასწავლებელთა ხელფასს, ეს საკითხი იმ თავიდანვე იყო საჭირბოროტო და დარჩა დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მაინც ყოველნაირად ცდილობს მასწავლებლის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მიღებულიც იქნა ზომები, რის შემდეგ მასწავლებლის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ეს რა თქმა უნდა გათვალისწინებული აქვს განათლების კომისარიატსაც, და მას თავის გეგმაში შემუშავებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებებისა მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ეს საჭირბოროტო საკითხი დროზე უნდა მოგვარდეს. ამას მოითხოვს ჩვენი განახლებული სკოლის ინტერესები.

**უპარტიო.**

# მუშათა თეატრში

## „კაცი—პორტფელით“.

მუშათა თეატრის რუსულმა დრამამ მეტად საყურადღებო პიესა დაგვიდგა. ა. ფაიკოს ახალი პიესა „კაცი—პორტფელით“. ამ პიესამ მოსკოვში დიდი აურ-ზაური და გაცხარებული კამათი გამოიწვია. ეს ადვილი ასახსნელია. ფაიკოს პიესა მტკივნეულ საკითხს ეხება. ინტელიგენციის საკითხს და მის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლიუციასთან. თუ ლავრენევმა ინტელიგენციის საკითხი თავის „რღვევა“-ში დადებითი გადასჭრა, ესე იგი ინტელიგენცია გულწრფელად მივიდა რევოლიუციის სამსახურად, ფაიკო, პირიქით, სადაო საკითხს აყენებს თავის „კაცი—პორტფელით“ და ინტელიგენცია საბჭ. ხელისუფლებასთან შეურიგებელი გამოჰყავს, ვინმე პროფესორი გრანატოვი მიდის საბჭოთა ხელისუფლებასთან იმ მიზნით, რომ კარგი ადგილი დაიკავოს. იგი პორტფელისტია. რევოლიუციას გრანატოვი ფორმალურად ღებულობს. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება მისთვის ფაქტია მხოლოდ. მუშათა კლასის ჰეგემონიას ანგარიშს უწევს მხოლოდ პირად მოსაზრებებით.

ბევრმა შეიძლება სთქვას, რომ ფაიკო ცილსა სწამებს ინტელიგენციას, რომ ასეთი ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეთერთმეტე წელში აღარ არის, ყველანი თანამშრომლობენ პროლეტარულ სახელმწიფოსთან ერთად სრულიად შეგნებით, გულწრფელად, მაგრამ, ალბად, ბევრი იმასაც დაამტკიცებს, რომ ინტელიგენციის ერთ ნაწილში კიდევ აქვს ადგილი არა გულწრფელობას, ანგარებას. ამ უკანასკნელ ხანს თავი იჩინა ასეთმა მოვლენამ დონბასეინის ამბების სახით.

ასე თუ ისე, დრამატურგმა ფაიკომ ეს საკითხი მთელი თავისი სიმწვავით წამოაყენა და როგორც პიესა საუცხოვო ჩარჩოებში ჩამოაყალიბა.

„კაცი — პორტფელით“ დაწერილია მელოდრამის პრინციპებით. პიესაში არის ისეთი ნერვი, რომელიც მაყურებელზე მოქმედობს. შინაარსის განვითარებაც დინამიურია და კარგი ხვეულებით მიდის.

პროფესორი გრანატოვი მატარებლით მიემგზავრება მოსკოვისკენ. გზაში მას ჰხვდება ვინმე თეთრგვარდიელი, რომელთანაც გრანატოვს უმუშავნია წინად თეთრგვარდიელთა ერთ-ერთ ორგანიზაციაში. გრანატოვს წარსული წინ წამოუდგა. შეეშინდა ამ წარსულის, რადგან თეთრგვარდიელის სიტყვით, გრანატოვის წარსული იყურებოდა „ყოველ კუთხიდან“ და მხილების თავიდან ასაცილებლად, გრანატოვი უყოყმანოდ თეთრგვარდიელს მატარებლიდან გადააგდებს.

პირველ მოქმედებიდანვე დრამატურგის მიერ მოცემულია ძლიერი კვანძი და შემდეგ მოქმედებებში ვხედავთ ამ კვანძის გაშლას და გახსნას. კვანძი მართლაც დიდებულად იშლება და დიდებულად სრულდება.

გრანატოვი დიდ ადგილს იკავებს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა მეცნიერია, საბჭოთა უნივერსიტეტის კათედრაზე მუშაობს, მაგრამ რაც დრო გადის, მისი მუშაობა იღებს არანორმალურ ხასიათს. იგი ვერა სძლევს თავის წარსულს, ვერა სტეხავს თავის ფსიხიკას, მისი კონტრ-რევოლიუციონური ბუნება მჟღავნდება და გრანატოვი მიდის თავის თავის უკიდურეს მხილებამდე. პიესა თავდება გმირის თვითმკვლელობით.

ამ მხრივ პიესა აგებულია სოციალურ-ფსიხოლოგიურ კონფლიქტზე და ეს კონფლიქტი თავიდან ბოლომდე ფაიკოს მიერ მძაფრ ხაზებშია გატარებული. ფაიკომ აქ დასვა ერთი პრობლემა. ან სრული შერიგება საბჭოთა ხელისუფლებასთან, ან სრული განდგომა. ორში ერთი: ორმაგი პოლიტიკა დამღუპველია. შუა მდინარე წყალში თუ გაჩერდი, წყალი დაგახრჩობს. უნდა გაზვიდე ან მარჯვნივ ან მარცხნივ.

ლავრენევის „რღვევა“ და ფაიკოს „კაცი—პორტფელით“ სწორედ თავის დროზე გაჩნდნენ. ორივე თანადროულ, მომწიფებულ საკითხს სწყვეტენ—ინტელიგენციის საკითხს და ეს საკითხი უნდა გადასწყდეს როგორც გადასწყვიტა კრეისერ „ავრორა“-ს კაპიტენმა ბერსენიოვმა.

მუშათა თეატრის რუსულმა დრამამ ეს პიესა მშვენივრად დადგა. შეიძლება „კაცი—პორტფელით“ მუშათა თეატრის წლევანდელ სეზონში საუკეთესო დადგმა იყოს, რადგან მხატვრული მხრივ წარმოადგენა მაღლა სდგას.

შესრულების მხრივ პიესა კარგად არის გამართული. მთავარ როლს გრანატოვის ასრულებს მსახიობი ლიუბიში. მსახიობმა შესძლო ამ ძნელი როლის დაძლევა. უკანასკნელ მოქმედებაში, მხილების სცენა, დიდი დრამატიზმით შეასრულა.

კარგ სახეს იძლევა გორელოვი (თეთრგვარდიელი—ლიხომსკი)

ერთობ წარმოდგენა საყურადღებოა. ფაიკოს პიესა „კაცი—პორტფელის“ სახით საბჭოთა დრამატურგიას კიდევ ერთი კარგი პიესა შეეძინა.

**მანი.**

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.